



ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

მ. გამსახურდიას სანაპირო
№1
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 299 11 11
ministry@moesd.gov.ge

22 / მარტი / 2024 წ.



KA020187452483124

№ 15/1856

სსიპ გარემოს ეროვნულ
სააგენტოს

მოგესალმებით,

თქვენი წერილის პასუხად (N21/2215 01.03.2024) რომელიც ეხებოდა საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის შენიშვნებს, გიგზავნით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პასუხებს მოცემულ საკითხებზე.

ამასთან გიგზავნით სტატიას, რომელიც ეხმაურება წარმოდგენილ რიგით მე-10 შენიშვნას და მზის ელექტროსადგურის სივრცით ფაილებს, რომელზეც ასევე იყო წარმოდგენილი კომენტარი.

დანართი:

1. სააგენტოს შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი
2. საზოგადოების შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი;
3. მზის ელექტროსადგურის სივრცითი ფაილები;
4. სტატია თემაზე: „How to manage mercury at hydropower reservoirs“;

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად



ლევან დავითაშვილი



საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტრო

კითხვა-პასუხის ფურცელი

კითხვა-პასუხის ფურცელი



კითხვა-პასუხის ფურცელი

№	შენიშვნა	კომენტარი
1.	<p>„2023 წლის ოქტომბერი“ (გვ.1)</p> <p>დოკუმენტის თარიღი?</p> <p><i>ასევე, გარემოსდაცვითი ინფორმაციის პორტალზე სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტზე რეკომენდაციების მიღების მიზნით დამატებითი განცხადება მითითებულია რომ გამოქვეყნდა 20.10.2023. ასევე დაგვიანებით ქვეყნდებოდა მინისტრის პირველი მოადგილის წერილები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული წერილები უკანა რიცხვით იყო გაფორმებული, რადგან ისინი გაცილებით უფრო გვიან გამოქვეყნდა აღნიშნულ პორტალზე, ვიდრე განცხადება ცვლილებების შესახებ გავრცელდა სააგენტოს და ცენტრის მიერ.</i></p> <p><i>სხვა მხრივ როგორ უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მინისტრის პირველი მოადგილის დამატებითი განცხადებები 25 ნოემბრამდე არ ყოფილა საიტზე ატვირთული, იხ.</i></p> <p>https://web.archive.org/web/20231125084618/https://ei.gov.ge/ka/info/ce31e2ef-816e-44dc-9171-dd06a8f52db4</p>	<p>2023 წლის ოქტომბერი არის თარიღი, როდესაც დასრულდა დოკუმენტის სამუშაო ვერსიაზე მუშაობა და წარედგინა სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოს“ და სსიპ „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს“.</p> <p>დოკუმენტი გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა 2023 წლის 20 ოქტომბერს (20.10.2023), ოფიციალურ წერილთან № 15/10219 ერთად. გამოქვეყნებულია ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/ce31e2ef-816e-44dc-9171-dd06a8f52db4</p> <p>დამატებითი განცხადების წარდგენის მოტივი იყო შეხვედრაზე ვირტუალურად დასასწრები ბმულის ცვლილება (ვებექსის პლატფორმიდან ზუმის პლატფორმაზე გადასვლა).</p> <p>საჯარო განხილვების დეტალების გამოქვეყნება დროულად კანონით განსაზღვრულ ვადებში მოხდა.</p>
2.	<p>„დანართი კ.“ (გვ.7)</p>	



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>სივრცით ფაილებში არ არის შეტანილი რუკაზე მოყვანილი მონაცემები. სიმძლავრე? კაშხლის ადგილმდებარეობა? ძალოვანი კვანძის? გადამცემი ხაზების? საიდუმლო რატომ არის?</p>	<p>სამინისტროს მიერ გარემოსთვის წარდგენილ პირველივე წერილში აიხსნა თუ რატომ არ მოხდა ყველა ობიექტის სივრცითი ფაილის წარდგენა.</p> <p>ზოგიერთი ობიექტი რომელსაც გეგმა ითვალისწინებს არის სტრატეგიული მნიშვნელობის და ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი. შესაბამისად ვერ მოხდებოდა ამ ინფორმაციის სრული გასაჯაროება ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფიდან გამომდინარე.</p>
<p>3.</p>	<p>“CSA“ (გვ.8)</p> <p>ორიგინალში როგორ ელერს?</p>	<p>ქართულად: კლიმატთან ოპტიმიზირებული სოფლის მეურნეობა</p> <p>ინგლისურად: Climate Smart Agriculture</p>
<p>4.</p>	<p>„KfW რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი“ (გვ.8)</p> <p>გერმანიის?</p>	<p>გერმანულად: KfW Entwicklungsbank (KfW Development Bank)</p> <p>ქართულად : გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკი</p>
<p>5.</p>	<p>„LULUCF“ (გვ.8)</p> <p>ორიგინალში?</p>	<p>ქართულად: მიწათსარგებლობა, მიწათსარგებლობაში ცვლილებება და სატყეო მეურნეობა.</p> <p>ინგლისურად: Land Use, Land-Use Change and Forestry (LULUCF)</p>
<p>6.</p>	<p>“ODA “ (გვ.9)</p> <p>ორიგინალში?</p>	<p>ქართულად: ოფიციალური დახმარება განვითარების მიზნით</p> <p>ინგლისურად: official development assistance</p>
<p>7.</p>	<p>“საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის ოფიციალურად დასამტკიცებლად საჭიროა</p>	<p>საჭირო თანმიმდევრული ეტაპებია: სკოპინგის განცხადების წარდგენა, სკოპინგის დასკვნის მიღება და სგშ-ს შემუშავება შემდეგი პროცედურებით.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>შემდეგი თანმიმდევრული ეტაპების გავლა. ” (გვ.11)</p> <p><i>სკოპინგი?</i></p>	
<p>8.</p>	<p>“ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სამუშაო ვერსიების მომზადება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით;” (გვ.11)</p> <p><i>რას ეფუძნება გარემოს მონაწილეობა? ინტერესების კონფლიქტი?</i></p>	<p>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის არ წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი, ვინაიდან დოკუმენტი ენერგეტიკის ნაწილთან ერთად შეიცავს მნიშვნელოვან კლიმატის ნაწილსაც. ამასთან, საქართველოს კანონით „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ მუხლი 7(1) -ით განსაზღვრულია, რომ დოკუმენტის შემუშავება უნდა მოხდეს „საქართველოს მთავრობასთან, კომისიასთან და სხვა შესაბამის მხარეებთან თანამშრომლობით“.</p>
<p>9.</p>	<p>“სგშ-ის ანგარიში არის სტრატეგიული დოკუმენტების განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედებების ზოგადი ანალიზი;” (გვ.12)</p> <p><i>სად წერია რომ სგშ-ში აღნიშნულის განხილვა "ზოგადია"?</i></p>	<p>საქართველოს „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი: მუხლი 2 (ტერმინთა განმარტება).</p> <p>ქ) სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (შემდგომ – სგშ) – ამ კოდექსით გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების შესწავლისა და ზოგადი პროგნოზირების პროცედურა. სგშ მოიცავს სკოპინგს, სგშ-ის ანგარიშის მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობას, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების გამართვას და მათგან მიღებული რეკომენდაციებისა და შეფასების შედეგების მხედველობაში მიღებას სტრატეგიული დოკუმენტის მიღებისას/დამტკიცებისას;</p>
<p>10.</p>	<p>“მასში აგრეთვე მოცემულია უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილების, შერბილების</p>	<p>საქართველოს „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ მუხლი 19. სგშ-ის მიზანი; სგშ-ის მიზანია:</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>ან მინიმუმამდე შემცირების ზოგადი რეკომენდაციები.” (გვ.12)</p> <p>სად წერია რომ სგშ-ს რეკომენდაციები "ზოგადია"?</p>	<p>ა) გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება;</p> <p>ბ) სტრატეგიული დოკუმენტის მომზადებისა და მიღების/დამტკიცების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა;</p> <p>გ) სტრატეგიულ დოკუმენტზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ასპექტების გათვალისწინება;</p> <p>დ) სტრატეგიულ დოკუმენტზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელება.</p>
<p>11.</p>	<p>“გარდა ამისა, სგშ ცალკეული პროექტების ინიციატორებს მისცემს შესაძლებლობას, პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების დროს გაითვალისწინონ სგშ-ს რეკომენდაციები გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, კულტურულ მემკვიდრეობასა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ პირობებზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, შესარბილებლად ან შესამცირებლად.” (გვ.12)</p> <p>რეკომენდაციები თუ მოთხოვნები?</p>	<p>სგშ არის რეკომენდაციული ხასიათის დოკუმენტი. მოთხოვნები პროექტის განხორციელებაზე ნებართვის გაცემისთვის მოცემულია ცალკეული პროექტების გზშ-ებში.</p>
<p>12.</p>	<p>“პირიქით, სტრატეგიული შეფასების პროცესი თითოეულს ავსებს და ეხმარება. ყველა მათგანი კომპლექსური გარემოსდაცვითი შეფასების ინსტრუმენტების ნაკრების ნაწილს წარმოადგენს.” (გვ.13)</p>	<p>ამონარიდი ინგლისური ვერსიიდან:</p> <p>It is also important to note that a strategic assessment is not a substitute for environmental impact assessment (EIA), environmental and social impact assessment (ESIA), or cumulative impact assessment (CIA) performed for individual projects or collections of projects. Rather, the strategic assessment process complements and informs each of these. They are all integral parts of a comprehensive environmental assessment toolbox.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>საინტერესოა, კომპლექსური როგორ არის ინგლისურად?</p>	
<p>13.</p>	<p>“წყარო: სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება. საქართველოს ენერგეტიკის განვითარება, 2023. მომზადებულია მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით.” (გვ.13)</p> <p><i>ინტერნეტ წყარო? რატომ მოამზადა მსოფლიო ბანკმა ეს დოკუმენტი 2023 წელს, თუკი საქართველოს კანონმდებლობით იგივე თემაზე სგშ ტარდება? ეს დოკუმენტი მოხვედრილია სხვა სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზში? აფასებს ეს დოკუმენტი ან ის დოკუმენტი შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის შემოქმედებას, რომლის ტექნიკურ შესწავლასაც მსოფლიო ბანკი აფინანსებს საქართველოსთვის სესხებით/ვალით?</i></p> <p><i>საერთოდ განიხილება თუ არა ენერგეტიკის სგშ მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებული 2005-იან წლებში? რას ამბობდა ის დოკუმენტი მზის და ქარის ენერჯიაზე საქართველოში? რატომ არ ვიხილავთ ამ დოკუმენტს, რათა ვნახოთ რამ იმუშავა და რამ არა? არ არის ეს სგშ-ის სტანდარტული ამოცანა ვისწავლოთ წარსულის გამოცდილებაზე, რასაც კოდექსიც მიგვითითებს?</i></p>	<p>„სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება“ მიზნობრივად განსხვავდება სგშ-ს გან. სგშ-ს მიზანი არის ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმაში გაწერილი ღონისძიებების გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შესწავლა და მავნე ზეგავლენის შემთხვევაში შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებზე რეკომენდაციის გაცემა.</p> <p>მსოფლიო ბანკის დოკუმენტი კვლევითის სახის დოკუმენტია და არა პოლიტიკური, ის განსაზღვრავს განვითარების ხედვას და არა ღონისძიებებს, რომელიც ქვეყანამ უნდა განახორციელოს.</p> <p>2005 წელს შემუშავებული დოკუმენტის განხილვა თანამედროვე პოლიტიკაში ვერ მოხდება ვინაიდან შეიცვალა: კანონები, რომელიც ამ სფეროს არეგულირებდა, უკეთესად მოხდა პოტენციალის შესწავლა და თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინება და ა.შ აქედან გამომდინარე 19 წლის წინ შემუშავებული დოკუმენტი წელს ვეღარ იქნება აქტუალური.</p>
<p>14.</p>	<p>“გარემოს ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეკომენდაციების მომზადება სგშ-ის პროცესის შედეგების საფუძველზე,</p>	<p>რეკომენდაციების გათვალისწინება მოხდა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში. სგშ ცალკე არ მტკიცდება. მტკიცდება სტრატეგიული დოკუმენტები.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სტრატეგიული დოკუმენტის მიღების დროს.” (გვ.14)</p> <p><i>როგორ მოხდება ეს პროცესი? სგშ-ის ანგარიშში იქნება გათვალისწინებული? მტკიცდება თუ არა სგშ სტრატეგიულ დოკუმენტებთან ერთად?</i></p>	
<p>15.</p>	<p>“სტრატეგიულ დოკუმენტში გათვალისწინებული ღონისძიებების ალტერნატივების მოკლე აღწერა;” (გვ.14)</p> <p><i>რამდენია ეს "ალტერნატივები" მრავლობითში?</i></p>	<p>სტრატეგიულ დოკუმენტში გათვალისწინებული ღონისძიებების 2 ალტერნატივა წარმოდგენილია როგორც გეგმაში, ასევე სგშ-ში. ჯამში გვაქვს 4 სცენარი: NECP (გეგმის სცენარი), WEM სცენარი (სცენარი ღონისძიებების გარეშე) პირველი და მეორე ალტერნატიული სცენარები.</p>
<p>16.</p>	<p>“გარემოს ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად, სკოპინგის განცხადება საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების (მუხლი 25) შესაბამისად განიხილა და ამ უწყებებმა 2023 წლის 9 და 21 თებერვალს (შესაბამისად) გამოსცეს სკოპინგის საკუთარი ოფიციალური დასკვნები.” (გვ.15)</p> <p><i>რომელ თებერვალს გამოცხადდა აუქციონი ეკონომიკის სამინისტრომ? 10 თებერვალს? დაელოდა თუ არა სგშ-ის პროცესის დასრულებას? რა შეიცვალა სკოპინგის შედეგად სტრატეგიულ დოკუმენტებში?</i></p>	<p>სგშ-ს პროცედურა არ არის დაკავშირებული აუქციონების გამოცხადებასთან. სტრატეგია განსაზღვრავს ქვეყნის ხედვას ენერგეტიკის და კლიმატის მიმართულებით. გვამღევეს პროექციებს და ამ პროექციებით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლის მისაღწევ ღონისძიებებს.</p> <p>შინაარსობრივად ეს საკითხები განსხვავდება ერთმანეთისგან, ვინაიდან გეგმა მიგვითითებს მინიმალურ საჭირო სიმძლავრეებზე ხოლო აუქციონების თემა წარმოადგენს სიმძლავრეებს, რომლებიც საჭიროა ქვეყნის ენერგეტიკის მდგრადი განვითარებისთვის.</p> <p>აუქციონში შესაძლოა გაიმარჯვოს უფრო დიდი სიმძლავრემ ვიდრე ეს გეგმაში მოცემული, ამ შემთხვევაში მიიღწევა კიდევ უფრო მეტი მაჩვენებელი განახლებადი ენერჯების ათვისების მიმართულებით. გეგმის სცენარი კი არის მინიმალური სიმძლავრეები რომლებიც საჭირო იქნება სამიზნე მაჩვენებლის მისაღწევად.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

<p>17.</p>	<p>“6 საქართველოს ტერიტორიების ნაწილი, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, ამჟამად დროებით ოკუპირებულია. შესაბამისად, ამ ტერიტორიებზე ენერგეტიკული, გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების, მათ შორის უმნიშვნელოვანეს ენგურის ჰიდროელექტროსადგურისა და აფხაზეთში ელექტროენერჯის მოხმარების კონტროლს საქართველოს ხელისუფლება დროებით ვერ უზრუნველყოფს. საქართველო გააგრძელებს თანამშრომლობას აფხაზეთის რეგიონის ენერგომომარაგების საკითხზე და ამავე დროს, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებითა და კონტაქტების საშუალებით, ეცდება ჯანსაღი ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი სარგებლის მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელებას.” (გვ.16)</p> <p><i>პოლიტიკურად არაკორექტული მოხსენიება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის</i></p> <p><i>თუ "რეგიონები"?</i></p> <p><i>იგივე უნიშვნა</i></p>	<p>მსგავსი ტერმინით აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მოხსენიების რეკომენდაცია მიღებული იყო ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან.</p>
<p>18.</p>	<p>“ვინაიდან ოქმი „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის მიერ ჯერ არ არის რატიფიცირებული, კოდექსის შესაბამისი მუხლებიც არ ამოქმედებულა და საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული</p>	<p>საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის განხორციელების შესაძლო ზემოქმედების თაობაზე არ მოხდება, ვინაიდან გარემოს ეროვნული სააგენტოს მხრიდან ეს აუცილებლობა ამ ეტაპზე არ განსაზღვრულა.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>პოლიტიკის და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის განხორციელების შესაძლო ზემოქმედების თაობაზე ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების ჩატარების აუცილებლობა ამ ეტაპზე არ არსებობს.” (გვ.17)</p> <p><i>შეფასება მოხდება თუ არა?</i></p>	
<p>19.</p>	<p>“სგშ ჩატარდა სკოპინგის კვლევის ანალიზისა და შედეგების საფუძველზე, უფლებამოსილი ორგანოების (გარემოს ეროვნული სააგენტო და ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს) მიერ სკოპინგის განცხადებაზე ინდივიდუალურად გაცემულ დასკვნებში წარმოდგენილი კომენტარების, რეკომენდაციებისა და მითითებების, აგრეთვე სკოპინგის განცხადების საჯარო განხილვებში ჩართული სხვა დაინტერესებული მხარეების კომენტარებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.” (გვ.17)</p> <p><i>დასკვნები სავალდებულოა შესასრულებლად.</i></p> <p><i>თუკი სგშ პროცედურა და კოდექსი აღმოჩნდა რომ თურმე არ ითხოვს კომენტარების გათვალისწინების საჯაროობას, მთავრობის 629-ე დადგენილება (და ასევე როგორც საუღეთესო პრაქტიკა პარლამენტისთვის), ითვალისწინებს</i></p>	<p>კომენტარებზე პასუხები სამინისტროს სურვილიდან გამომდინარე წარდგენილი იქნება გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის როგორც საჯარო განხილვაზე ითქვა.</p> <p>ასევე, როგორც არაერთხელ აღინიშნა დოკუმენტი არ მიდის 629 დადგენილებით. ის მიდის ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ კანონით. ამასთან, დოკუმენტი გადის სტრატეგიული გარემოსდაცვითის შეფასების პროცედურას, რომელიც კანონის დაცვით მიმდინარეობს. ასევე, გარემოს წარედგინა ყველა საჭირო დოკუმენტიც.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>აღნიშნულს, იხ. მუხლი 9. საჯარო კონსულტაცია "4. კონსულტაციების დასრულების შემდგომ მაკოორდინირებელი ორგანოს მიერ უნდა მომზადდეს შემაჯამებელი ანგარიში კონსულტაციის შედეგების შესახებ." და "5. საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში თან უნდა ერთოდეს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარმოდგენილ დოკუმენტაციას."</p>	
<p>20.</p>	<p>“(დანართი ა).” (გვ.17)</p> <p>დანართი ბ ალბათ. სად არის წარმოდგენილი საზოგადოების წინადადებები და მათი გათვალისწინების ცხრილი?</p>	<p>დანართი გარემოს რეკომენდაციებთან ერთად აერთიანებს ყველა კომენტარს (მათ შორის, იმათაც რომელიც საზოგადოებამ წარუდგინა გარემოს ეროვნულ სააგენტოს და უკვე სააგენტოს გადაწყვეტილების შედეგად მოხდა მათი მოთხოვნის ცხრილში ასახვა).</p>
<p>21.</p>	<p>“ექსპერტებმა გამოიყენეს საპროექტო ტერიტორიების სივრცითი ფაილები იმ რისკების გამოსავლენად და შესაფასებლად, რომლებმაც გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შესაძლოა რისკის ქვეშ დააყენონ ისეთ სენსიტიურ ტერიტორიები, როგორებიცაა: წყლის ობიექტები, ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიები, არსებული და დაგეგმილი დაცული ტერიტორიები, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, და სხვ.” (გვ.19)</p> <p>საზოგადოებას საიდუმლო მონაცემების მიზეზით არ მიეწოდება ეს სივრცითი ფაილები, რომ ჩვენც</p>	<p>ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების ზუსტი კოორდინატები კანონით განსაზღვრულია როგორც სახელმწიფო საიდუმლოება, შესაბამისად მათი კოორდინატების გაზიარება/გასაჯაროება ვერ მოხდებოდა.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>შევაფასოთ. ასევე არ მოგვეწოდება არსებული ობიექტების მდებარეობა და მონაცემები (მაგ. მხოლოდ დაგეგმილი ჰესების და სხვა ობიექტების კოორდინატებია გაზიარებული). გავვიზიარეთ აღნიშნული მონაცემები რომ საზოგადოებამ შეძლოს შეფასების ხარისხის შეფასება.</p>	
<p>22.</p>	<p>“ეს სცენარებია: ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სცენარი , ინერციული (business as usual) სცენარი, პირველი ალტერნატიული სცენარი - მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების ნაცვლად ქარის ენერჯის უპირატესი გამოყენების სცენარი და მეორე ალტერნატიული სცენარი - მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების ნაცვლად თბოელექტროსადგურების მშენებლობა.” (გვ.21)</p> <p>მზის ენერჯია ჰესების ალტერნატივად არ განიხილება?</p>	<p>მზის ენერჯია ჰესების ალტერნატივად (ალტერნატიულ სცენარად) ვერ განიხილება. მსგავსი კითხვა საჯარო განხილვაზეც დაისვა. მიზეზი კი ის არის, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანი 430 მგვტ სიმძლავრე, რომელიც ქსელის რეგულირებისთვის აუცილებელია ვერ მიიღწევა მზის სადგურების გამო, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ მზის გენერაცია განახლებადებს შორის ყველაზე არასტაბილურია.</p>
<p>23.</p>	<p>“2022 წელს საქართველოში ენერჯის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის წილი 78%-ს შეადგენდა.” (გვ.24)</p> <p>ზემოთ ცხრილის მიხედვით ეს დაახლოებით 74%-ია. რომელია მართალი?</p>	<p>2022 წელს საქართველოში ენერჯის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის წილი 78%-ს შეადგენდა. დაკორექტირდება.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

<p>24.</p>	<p>“მიუხედავად იმისა, რომ ენერჯის გამომუშავებაში ენერჯის განახლებადი წყაროების, განსაკუთრებით ჰიდრო რესურსების, წილი დიდია, ენერჯის ყველა განახლებადი წყაროს წილი საქართველოში ენერჯის მთლიან გამომუშავებაში საკმაოდ მცირეა და 2019 წელს 18.77% შეადგინა.” (გვ.25)</p> <p><i>რა იგულისხმება?</i></p>	<p>განახლებადი ენერჯის წილი, ელექტროენერჯეტიკა და განახლებადი ენერჯის წილი ენერჯეტიკულ ბალანსში განსხვავებული ცნებებია. ელექტროენერჯიაში განახლებადი ენერჯების მაღალი წილი (78%-2022 წლისთვის) გამომდინარეობს იქედან, რომ ქვეყანას გააჩნია დიდი ჰიდროგენერაცია. განახლებადი ენერჯის წილი ენერჯის საბოლოო მოხმარებაში 18,77% კი განპირობებულია იმით, რომ საქართველოში ხდება დიდი რაოდენობით არაგანახლებადი რესურსის (ბუნებრივი გაზი, ნავთობპროდუქტები) მოხმარება. ამასთან ეს რესურსი თითქმის სრულად იმპორტირებულია.</p>
<p>25.</p>	<p>“ცხრილი 3. განახლებადი ენერჯის გამომუშავება (2021 წ.)” (გვ.26)</p> <p>მონაცემი: 140.5 <i>არც ისე მცირეა ქართან შედარებით.</i></p> <p>მონაცემი:23.14% <i>საიდან ჩანს რისი 23.14 %-ია? რას ვაკეთებთ ამისთანას რომ ჩვენი ჰიდროს წვლილი ასე მცირედ გამოიყურება ჯამურ ბალანსში?</i></p>	<p>ცხრილში მოცემული მონაცემები დათვლილია როგორც მთლიან შიდა მიწოდებაში წარმოების წილი. 23.14% არის განახლებადების წარმოება.</p>
<p>26.</p>	<p>“წყარო: საქსტატი. საქართველოს ენერჯეტიკული ბალანსი 2021 წ. ბოლო მონაცემები 2021 წლისათვის ხელმისაწვდომი გახდა 2022 წლის დეკემბერში. 2022 წლის მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2023 წლის დეკემბერში, ხოლო 2023 წლის მონაცემები - 2024 წლის დეკემბერში.” (გვ.26)</p>	<p>მონაცემები უკვე დაიდო საქსტატის ოფიციალურ ვებ გვერდზე. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/821/sakartvelos-energetikuli-balansi-2022</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<i>უკვე 2023-ის დეკემბერია - გვაქვს ეს მონაცემები?</i>	
27.	<p>“გასათვალისწინებელია, რომ „არსებული ღონისძიებებით“ სცენარითა და TIMES მოდელირების საფუძველზე, 20 წლიანი ექსპლუატაციის შემდეგ, ქარის ელექტროსადგურის (20.7 მგვტ) გამორთვა იგეგმება.” (გვ.26) <i>სხვა არაფერი "გამოირთვება"?</i></p>	საუბარია მხოლოდ ქარის ელექტროსადგურზე.
28.	<p>“ცხრილი 4. ელექტროენერჯის წარმოების სიმძლავრის (მგვტ) პროგნოზები არსებული ღონისძიებებით და ენერჯეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სცენარებში” (გვ.26) <i>მონაცემი: 5 139, 3 992, 5 791, 4 284 ,6 775, 5 510 გეგმა ამცირებს?</i></p>	გეგმა გვაძლევს მინიმალურ სიმძლავრეებს, რომელიც საჭირო იქნება მოთხოვნაზე რეაგირებისთვის.
29.	<p>„ცხრილი 5. ელექტროენერჯის ჯამური გენერაცია წყაროების მიხედვით (ყველა ენერჯეტიკული რესურსის მიხედვით) [გვტსთ]“ (გვ.27) <i>ქვანახშირს არ ვიყენებთ საერთოთ? სკოლებს არ ვამარაგებთ ტყიბულის ქვანახშირით? ცემენტის ქარხნები რას იყენებენ?</i></p>	ქვანახშირის სადგურების ექსპლუატაციიდან გამოყვანა, ასევე მისი მოხმარება საწვავი მიზნებისთვის აღარ მოხდება. ელ.ენერჯის გენერაცია აღარ გვაქვს 2018 წლიდან.
30.	<p>„წყარო: ენერჯეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა“ (გვ.27)</p>	ელექტროენერჯის ჯამური გენერაციის პროექციები მოცემულია მოდელირების შედეგად.



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>ეს დოკუმენტი რა წყაროს იყენებს?</p>	
<p>31.</p>	<p>„2.2 სტრატეგიული დოკუმენტის დანიშნულება და შინაარსი“ (გვ.27)</p> <p><i>შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი ნახსენები არ არის ამ აღწერაში. არ იგეგმება პროექტი?</i></p>	<p>საჯარო განხილვაზე განიმარტა, რომ შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი არის წინასწარი შესწავლის ფაზაში და ეს შესწავლა, გარემოს დაცვის საკითხების გარდა, მოიცავს ბევრ სხვა კომპონენტს. შესწავლა ახორციელებს სსე-ის კონსულტანტი იტალიური კომპანია „ჩეზი“. რაც შეეხება პროექტის მარშრუტს, წინასწარი შესწავლის (და არა პროექტირების) ფაზაში ხდება მხოლოდ სხვადასხვა ალტერნატივების განხილვა, რომელიც შეეხება საქართველოსა და რუმინეთის სახმელეთო ტერიტორიებს და მათთან დამაკავშირებელი პროექტის საზღვაო ნაწილს. ამ ეტაპზე წინა-საპროექტო შესწავლა ჯერ დასრულებული არ არის და პროექტის მარშრუტიც არ არის განსაზღვრული.</p> <p>საპროექტო ტერიტორიაში მოხვედრილი კულტურული მემკვიდრეობა ჯერ აღრიცხული ვერ იქნება, რადგან არ არის შერჩეული პროექტის დაზუსტებული მარშრუტი. ხაზს გავეუსვამ, რომ მარშრუტის შერჩევის შემდეგ ჩატარდება კულტურული მემკვიდრეობის კვლევა როგორც ხმელეთზე, ისე წყალქვეშ და ეს მოხდება კვალიფიციური სპეციალისტების მიერ. ექსპერტმა თავის შეკითხვაში ახსენა მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული ე.წ. 300-მეტრიანი დაცვის ზონა, რომელიც იცავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს და იკითხა, იქნება თუ არა ეს გათვალისწინებული. ამასთან დაკავშირებით, მოგახსენებთ, რომ მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო-ხელშეკრულებაში (World Bank Environmental and Social Framework) განსაზღვრული სტანდარტები, სადაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვა წარმოდგენილია მე-8 კომპონენტით (ESS 8) და მასში ზოგადაა განხილული ის აუცილებელი აქტივობები და მიდგომები, რაც გამოყენებულ უნდა იქნას სამშენებლო პროექტების განხორციელებისას. თუმცა დაცვის ზონების შესახებ მასში არაფერია ნათქვამი. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონების საკითხები მოცემულია საქართველოს კანონში კულტურული მემკვიდრეობის შესახებ და ის გამოყოფს ფიზიკური და ლანდშაფტურ-ვიზუალური დაცვის სხვადასხვა ფორმას, სადაც 300-მეტრიანი ლანდშაფტურ-ვიზუალური დაცვის ზონა აქვთ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს, 500-მეტრიანი -</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

		<p>ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებს, ხოლო 1000 მეტრიანი - იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში (UNESCO World Heritage List) მყოფ ძეგლებს. რასაკვირველია წყალქვეშა კაბელის სახმელეთო ნაწილის მარშრუტის შერჩევისას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები გათვალისწინებული იქნება და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებსა და ძეგლებს დაზიანების ან განადგურების საფრთხე არ დაემუქრებათ.</p>
<p>32.</p>	<p>„ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა 2030 წლისთვის მისაღწევ სამიზნე მაჩვენებლებს, რომელთა მიხედვით იმპორტირებული ელექტროენერჯის (რომელიც გულისხმობს იმპორტირებული ელექტროენერჯის და თბოგენერაციის ჯამს) წილი ელექტროენერჯის ჯამურ მოხმარებაში 30%-დან (2016-2019 წლების საშუალო) 15%-მდე (2030 წლის სამიზნე მაჩვენებელი) უნდა შემცირდეს.“ (გვ.29)</p> <p><i>მაღლა 13% რაღას ნიშნავს? იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებს არ ვთვლით?</i></p>	<p>გვ. 23-ზე მითითებულია შემდეგი ჩანაწერი: „საქართველოში ელექტროენერჯის მოხმარება მზარდი ტენდენციით ხასიათდება. ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის ძირითად ნაწილს ადგილობრივი გენერაციის ობიექტები - ჰიდრო (წელიწადში 70%-მდე) და თბოელექტროსადგურები (წელიწადში 20%-მდე) აკმაყოფილებენ, მოთხოვნის ადგილობრივი წარმოებით დაუბალანსებელი ნაწილი კი ელექტროენერჯის იმპორტით იფარება (წელიწადში საშუალოდ 13%).“ – 13% - იმპორტირებული ელექტროენერჯის წილი დაბალანსებისთვის.</p> <p>2016-2019 წლებისთვის 30% წარმოადგენს სამწლიან მაჩვენებელს, რომელსაც ახასიათებს ზრდის ტენდენცია, და რომლის შემცირებაც მიზანშეწონილია 15%-მდე 2030 წლისთვის.</p>
<p>33.</p>	<p>„ჰიდროელექტროსადგურები - 667 მგვტ დადგმული სიმძლავრით (237 მგვტ მოდინებაზე მომუშავე ჰესები და 430 მგვტ სიმძლავრის მარეგულირებელი ჰესები), ქარის 30 ელექტროსადგურები 730 მგვტ დადგმული სიმძლავრით, მზის ელექტროსადგურები - 547 მგვტ დადგმული სიმძლავრით.“ (გვ.29)</p> <p><i>იგივე კითხვები</i></p>	<p>მოცემული სიმძლავრეები არ არის კონკრეტული ჰიდროელექტროსადგურების ჯამური სიმძლავრეები. ეს არის გენერაცია და სიმძლავრე თითოეული წყაროდან, რომელიც საჭირო იქნება გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და ქსელის დასაბალანსებლად 2030 წლისთვის.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

<p>34.</p>	<p>„ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის მიხედვით, იგეგმება 2 ახალი კომბინირებული ციკლის თბოსადგურის აშენება 500 მგვტ ჯამური დადგმული სიმძლავრით.“ (გვ.30)</p> <p><i>რამდენს ვაშენებთ, 1-ს, 2-ს თუ 3-ს? რას ფიქრობს დოკუმენტი წიაღისეული საწვავის გამოყენების phase out ან phase down ან თუნდაც 'Transitioning away from fossil fuels', როგორც ამაზე COP28-ზე საუდის არაბეთიც კი დათანხმდა?</i></p>	<p>კომბინირებული თბოსადგურები იმუშავებენ სარეზერვო რეჟიმში და მათ არ ექნებათ მუდმივი დატვირთვა. ემისიების შემცირების მაჩვენებელი გამოთვლილია მათი გათვალისწინებით, ვინაიდან ქსელის სტაბილურობისთვის საჭიროებად მაინც რჩება თბოსიმძლავრეების არსებობა.</p>
<p>35.</p>	<p>„2023 წლის ივლისში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ევროკავშირის ენერგეტიკულ გაერთიანებას წარუდგინა სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა შემდგომი განხილვისა და რეკომენდაციებისთვის.“ (გვ.30)</p> <p><i>მივიღეთ პასუხი მათგან? "დაამტკიცეს"/"შეითანხმეს"/"მოიწონეს"??</i></p>	<p>ენერგეტიკული გაერთიანების მიერ გაიცა რეკომენდაციები, რომელიც განთავსებულია ენერგეტიკული გაერთიანების საიტზე: https://www.energy-community.org/news/Energy-Community-News/2023/12/29b.html</p>
<p>36.</p>	<p>„2.3 სტრატეგიული დოკუმენტების გეოგრაფიული არეალი“ (გვ.30)</p> <p><i>რუკაზე მაინც გვეჩვენებინა და მცირედ განგვხილავს რა აირს დაგეგმილი და სად?</i></p>	<p>საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განხორციელდება.</p> <p>სგმ-ს დოკუმენტში მოცემულია ღონისძიებები თავისი განხორციელების არეალებით (ადგილმდებარეობებით).</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

<p>37.</p>	<p>„საქართველოს 2020- 2030 წლების ენერგეტიკული სტრატეგია (2019 წ.), საქართველოს ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმები, 2019-2020 წწ.; საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმები (2021-2031 წწ.; 2022-2032 წწ, 2023-2033 წწ.); საქართველოს ბუნებრივი გაზის სატრანსპორტო ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2019-2028 წწ.; საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა; საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განახლებული დოკუმენტი (2021 წ.).“ (გვ.31)</p> <p><i>რომელიმე ეს დოკუმენტი დაექვემდებარა სგშ-ს? რას ფიქრობს ამ საკითხზე ეს სგშ?</i></p> <p><i>რატომ არ არის მოხსენიებული არაენერგეტიკული და არაკლიმატის სტრატეგიული დოკუმენტები, მაგალითად შემუშავების ეტაპზე მყოფი სივრცული განვითარების გეგმა ან მაგ. ტურიზმის სტრატეგია, ან დაცული ტერიტორიების და სხვა კონსერვაციული ტერიტორიების კონცეფცია და ა.შ.?</i></p>	<p>მოცემული დოკუმენტებისთვის არ ჩატარებულა სგშ. ამ სგშ-ს მიზანი არ არის განსაზღვროს რა ტიპის დოკუმენტი ექვემდებარება სგშ-ს. ექვემდებარება თუ არა დოკუმენტი სკოპინგს და სგშ-ს განისაზღვრება სკრინინგის ეტაპზე.</p> <p>აღნიშნული დოკუმენტები იმყოფება შემუშავების ეტაპზე.რადგან არ არსებობს მათი საბოლოო ვერსიები და შესაძლებელია მათში კიდევ მოხდეს მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა, არ იქნება გამართლებული დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში სხვა დოკუმენტების დაუსრულებელი ვერსიების განსაზღვრა.</p>
<p>38.</p>	<p>„3.2 წყალი“ (გვ.37)</p>	<p>საკითხი არ არის გაშლილი საკანონმდებლო დონეზე, შესაბამისად მეთოდოლოგიის პრაქტიკულ სარგებლიანობის ანალიზი ვერ იქნებოდა დოკუმენტის შინაარსი. USAID -ის „საქართველოს მდინარეების გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>საქართველოში გარემოსდაცვითი ხარჯის პრაქტიკის შესახებ არ არის საუბარი ამ თავში.</p>	<p>მეთოდოლოგია“-ს მიხედვით „გარემოსდაცვითი ხარჯის მნიშვნელობა დამოკიდებულია დაინტერესებული მხარეების მიერ კონკრეტული მდინარის მიმართ განსაზღვრული და შეთანხმებული გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივ მიზნებზე.“ შესაბამისად ის ინდივიდუალურად განისაზღვრება დოკუმენტის მიღების შემდეგ.</p>
<p>39.</p>	<p>„კლიმატის ცვლილებას ეხება ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორცაა საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც აყალიბებს საქართველოს პოლიტიკას კლიმატის ცვლილების შერბილების სფეროში და წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტის განხორციელების მთავარ ინსტრუმენტს.“ (გვ.62)</p> <p>შემდეგი 2 წლის გეგმის პროექტი არ არის მოხსენიებული?</p>	<p>2023-2025 წლის გეგმა სგშ-ს შემუშავების ეტაპზე არ იყო დამტკიცებული, შესაბამისად მისი დოკუმენტში მოხსენიება ვერ მოხერხდებოდა.</p>
<p>40.</p>	<p>„წინამდებარე სგშ-სთვის კულტურის სამინისტროსგან მიღებულ გეოსაინფორმაცია (GIS) მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია მემკვიდრეობის 21,014 ობიექტი.“ (გვ.72)</p> <p>როგორ შეიძლება მივიღოთ წვდომა ამ მონაცემთა ბაზაზე?</p>	<p>მონაცემთა ბაზაზე წვდომის მიღება შეგიძლიათ კულტურის სამინისტროსთან მიმართებით.</p>
<p>41.</p>	<p>„საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ბოლო წლებში გარკვეულწილად სტაბილური იყო და დაახლოებით 3.7 მილიონს შეადგენდა.“</p>	<p>ამ ჩანაწერის საფუძველია საქსტატის სტატისტიკური ინფორმაცია. სგშ- ცალკე ვერ განსაზღვავს მოსახლეობის რაოდენობას და მის სტატისტიკურ სიზუსტეს. ამასთან</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>(გვ.74)</p> <p><i>არა, არასტაბილურია და კლებულობს მნიშვნელოვნად. შემდეგ აღწერაზე აღმოვაჩენთ რომ კიდევ უფრო შემცირდა მკვიდრი მოსახლეობა და გაიზარდა იმიგრაცია.</i></p>	<p>საქსტატი წელს აკეთებს მოსახლეობის საყოველთაო აღრიცხვას, რომელიც ბოლოს 10 წლის წინ ჩატარდა.</p>
<p>42.</p>	<p>„დროთა განმავლობაში, ემისიების უფრო მაღალი ტრაექტორიების პირობებში, მოსალოდნელია სითბური ტალღების სიხშირის მნიშვნელოვნად ზრდა, რაც ადამიანის ჯანმრთელობას სეროზულ საფრთეს შეუქმნის. გარდა ამისა, თბილისი ურბანული სითბოს კუნძულის ეფექტის ზემოქმედებას განიცდის, რაც ქალაქელების ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნის, ვინაიდან მომდევნო ათწლეულებში ექსტრემალური მაღალი ტემპერატურების სიხშირის ზრდა არის მოსალოდნელი.“</p> <p>(გვ.79)</p> <p><i>მარტო თბილისი?</i></p>	<p>კონკრეტულ მონაკვეთში საუბარია თბილისზე.</p>
<p>43.</p>	<p>„4.1.5.2 არაპირდაპირი და კუმულაციური ზემოქმედებები“</p> <p>(გვ.104)</p> <p><i>სოციალური ზემოქმედებები არ არის მოსალოდნელი? ლანდშაფტზე ზემოქმედებები?</i></p>	<p>ლანდშაფტზე და გარემოზე სხვა სახის ზემოქმედება არის გზმ-ს ნაწილი.</p>
<p>44.</p>	<p>„ამიტომ, სასურველია, ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმაში</p>	<p>სგმ არის სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტი და არა კონკრეტული მოთხოვნების განმსაზღვრელი.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>ხაზგასმული იყოს მეთანის ჩაჭერისა და უტილიზაციის აუცილებლობა სხვა ნაგავსაყრელებზეც და წარმოდგენილი იყოს შერბილების ღონისძიებების ხარჯ-ეფექტიანი ვარიანტები.“ (გვ.109)</p> <p><i>სასურველია თუ აუცილებელი მოთხოვნაა და სგშ-ის მეშვეობით გახდება გეგმის ნაწილი?</i></p>	
<p>45.</p>	<p>„ამიტომ, სასურველია, რომ ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმაში წარმოდგენილი იყოს ბიოდეგრადირებადი ნარჩენების რეციკლირების უფრო მნიშვნელოვანი ღონისძიებები უფრო ფართო გეოგრაფიული არეალით.“ (გვ.109)</p> <p><i>ისევ, სასურველია თუ მოთხოვნილია და შევა?</i></p>	<p>სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება არის სარეკომენდაციო ხასიათის და მასზე დასკვნაც გაიცემა რეკომენდაციის ტიპით. ის არ აყენებს კონკრეტულ „მოთხოვნებს“ როგორც ეს გზშ-ს შემთხვევაში ხდება. გეგმაში მოცემულმა ცალკეულმა პროექტმა უნდა გაიაროს გზშ სადაც გარემოზე ზემოქმედება შეფასდება უფრო დაზუსტებულად და პროექტის განმხროციელებლებისთვისაც განისაზღვრება კონკრეტული პირობები.</p>
<p>46.</p>	<p>„4.1.10 კულტურული მემკვიდრეობა</p> <p>4.1.10.1 პირდაპირი ზემოქმედებები სკოპინგის ეტაპზე დადგინდა, რომ ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებულ გეგმაში გათვალისწინებული ღონისძიებები, რომლებიც დეკარბონიზაციას ეხება, კულტურულ მემკვიდრეობაზე პირდაპირ უარყოფით, არაპირდაპირ ან კუმულაციურ ზემოქმედებას არ მოახდენდა. შესაბამისად, სგშ-ს ანგარიშში შესაბამისი ღონისძიებები განსაზღვრული არ არის.</p>	<p>დეკარბონიზაციაში მოცემული ღონისძიებები არ ახდენს კუმულაციურ ზეგავლენას გარემოზე, ვინაიდან ისინი მიმართულია სათბური აირების ემისიის შემცირებისკენ სხვადასხვა სფეროში.</p> <p>სგშ უნდა ითვალისწინებდეს (და ითვალისწინებს) იმ დოკუმენტის ზეგავლენის შეფასებას, რომელიც სტრატეგიულ დოკუმენტში არის შესული და ჯერ არ განხორციელებულა ან იმყოფება განხორციელების ადრეულ ეტაპზე. ჟინვალის ჰიდროელექტროსადგური ექსპლუატაციაში გასულ საუკუნეში შევიდა, აუზის შევსება 1985 წელს დასრულდა, შესაბამისად მისი გარემოზე ზეგავლენა ვერ გახდება დოკუმენტის მსჯელობის საგანი.</p>



<p>4.1.10.2 არაპირდაპირი და კუმულაციური ზემოქმედებები სკოპინგის ეტაპზე დადგინდა, რომ ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებულ გეგმაში გათვალისწინებული ღონისძიებები, რომლებიც დეკარბონიზაციას ეხება, კულტურულ მემკვიდრეობაზე პირდაპირ უარყოფით, არაპირდაპირ ან კუმულაციურ ზემოქმედებას არ მოახდენდა. შესაბამისად, სგშ-ს ანგარიშში შესაბამისი ღონისძიებები განსაზღვრული არ არის.</p> <p>4.1.10.3 ზემოქმედებების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები სკოპინგის ეტაპზე დადგინდა, რომ ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებულ გეგმაში გათვალისწინებული ღონისძიებები, რომლებიც დეკარბონიზაციას ეხება, კულტურულ მემკვიდრეობაზე პირდაპირ უარყოფით, არაპირდაპირ ან კუმულაციურ ზემოქმედებას არ მოახდენდა. შესაბამისად, სგშ-ს ანგარიშში შესაბამისი ღონისძიებები განსაზღვრული არ არის.“ (გვ.115)</p> <p><i>სამივე შემთხვევაში მიუღებელია ფრაზა "შესაბამისად, სგშ-ის ანგარიშში შესაბამისი ღონისძიებები განსაზღვრული არ არის." მაგალითისთვის ჟინვალის წყალსაცავში დაძირული ეკლესიებიც საკმარისია.</i></p>	
---	--



კითხვა-პასუხის ფურცელი

<p>47.</p>	<p>„ელექტროენერჯის გამომუშავება მზის ელექტროსადგურებზე: 2030 წლისთვის იგეგმება 547 მგვტ ჯამური სიმძლავრის მზის ელექტროსადგურების განვითარება, მათ შორის:“ (გვ.119)</p> <p><i>ჩამოთვლილი სადგურების სიმძლავრე არ ემთხვევა ჯამურს და ბევრად ნაკლებია.</i></p>	<p>ერთის მხრივ გეგმაში, ღონისძიებების ნაწილში მოცემულია განახლებადი ენერჯის ათვისებისთვის საჭირო ელექტროსადგურები (RE-1, RE-2 და RE-3). მათი დადგენილი სიმძლავრე გასხვავდება სამიზნე სიმძლავრისგან, რადგანაც სამიზნე არის ის რისი მიღწევაც მინიმუმალურად საჭიროა ენერჯიაზე მოთხოვნის შემცირებისთვის.</p> <p>ამასთან წარმოდგენილი პროექტების ჯამური სიმძლავრეები არ დაემთხვევა მოდელის მოცემულ რიცხვებს, ვინაიდან მოდელის რიცხვები არის მათემატიკური მოდელირების შედეგად განსაზღვრული სიმძლავრეები. ეს არ არის კონკრეტული ელექტროსადგურები, არამედ ზოგადი გენერაცია რომელიც სისტემას დასჭირდება.</p>
<p>48.</p>	<p>სტორი 1 - 20.03 მგვტ“ (გვ.119)</p> <p><i>კლიმატის გეგმაში სტორზე 33.6 წერია. რომელია სწორი? ჩამონათვალი არ ემთხვევა.</i></p>	<p>სტორი 1 გეგმაში წერია 20.03 მგვტ. იგივენაირად მის გზშ-ში: https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/31777</p> <p>კლიმატის სამოქმედო გეგმის განახლებული ვერსიით სიმძლავრეები დაკორექტირდა ბოლო პერიოდში, როცა დოკუმენტები უკვე წარდგენილი იყო სგშ დასკვნის მისაღებად.</p>
<p>49.</p>	<p>„129 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 31 დეკემბრის სტატუს ანგარიში:“ https://mepa.gov.ge/Ge/Reports“ (გვ.119)</p> <p><i>უფრო ზუსტად ვერ მიეთითება ინტერნეტ წყარო? ზოგად გვერდზე გადის და არა კონკრეტულ ანგარიშზე.</i></p> <p><i>თუკი ექსელის ფაილზეა საუბარი, მისი წაკითხვა თითქმის შეუძლებელია.</i></p>	<p>იხილეთ ბმული: https://mepa.gov.ge/Ge/Files/Download/53739 ანგარიში შესრულებულია ექსელის ფაილში, მონიტორინგის ანგარიში კეთდება ამ ფორმატში.</p>
<p>50.</p>	<p>„გარდა ამისა, ელექტროენერჯიაზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, 2030 წლისთვის დაგეგმილია 430 მგვტ სიმძლავრის</p>	<p>როგორც ტექსტში განიმარტა ეს არის მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე საჭიროა რომ იყოს 430 მგვტ და გენერაცია 1500 გგვტ.სთ. ეს არ არის კონკრეტული პროექტის (ან რამდენიმე პროექტის) სიმძლავრე,</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

<p>მქონე წყალსაცავიანი ჰესის მშენებლობა. თუმცა, ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმაში კონკრეტული პროექტი არ არის მითითებული, ვინაიდან მოცემული რიცხვი არის ქსელის გამართულად ოპერირებისთვის საჭირო რეგულირებადი სიმძლავრე 2030 წლისთვის. ელექტროენერჯის გამომუშავება მიკრო ელექტროსადგურებზე. ეს ღონისძიება ითვალისწინებს 2030 წლისთვის 200 მგვტ-მდე ჯამური სიმძლავრის მიკრო ელექტროსადგურებზე (500 კვტ-მდე).“ (გვ.120)</p> <p><i>რა ვქნათ, როგორ შევაფასოთ ის რაც მითითებული არ არის? მიგვითითონ თუ შეიძლება.</i></p> <p><i>სად აპირებენ 400 მცირე ჰესის განთავსებას და როგორი იქნება კუმულაციური ეფექტი?</i></p>	<p>განუსაზღვრელია თუ სად აშენდება ამ პარამეტრის მქონე ელექტროსადგური, ამ ჩანაწერით განიმარტება მხოლოდ საჭიროება და არა კონკრეტული პროექტი, რომელსაც თავის მხრივ აუცილებლად ჩაუტარდება სგმ.</p>
<p>51. „განახლებადი ენერჯის წყაროებზე მომუშავე ქარის, მზის, ჰიდრო და მიკროელექტროსადგურების პროექტები (RE-1, RE-2, RE-3, RE-4, RE-5) გამოიწვევენ მხოლოდ ხანმოკლე და ადგილობრივი მასშტაბის უარყოფით ზემოქმედებებს მშენებლობის დროს.“ (გვ.120)</p> <p><i>რამდენია მიკრო? მიკრო იგულისხმება მხოლოდ?</i></p>	<p>მოცემული ღონისძიებები ეხება ქარის ენერჯის წარმოების, მზის ენერჯის წარმოების და ჰიდროენერჯის წარმოების მიმდინარე ტექნიკურ და პროცედურულ მხარდაჭერას. მიკროელექტროსადგურების პროექტები მოცემულია RE-4 ღონისძიებაში და გულისხმობს მინიმუმ 200 მგვტ ჯამური სიმძლავრის მქონე ჰიდროელექტროსადგურების მხარდაჭერას. მათი რაოდენობა წინასწარ არ/ვერ იქნება განსაზღვრული.</p>
<p>52. „მიზანი 1.5-ის (ენერჯის საბოლოო მოხმარებაში, განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილის გაზრდა (სამიზნე 27,4% 2030 წლისთვის)) ფარგლებში გათვალისწინებული</p>	<p>მოცემული ღონისძიებები ეხება განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიკრო-გენერაციის მხარდაჭერას.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>ლონისძიებები, რომლებიც განახლებადი ენერჯის წყაროებზე მომუშავე ქარის, მზის, ჰიდრო და მიკროელექტროსადგურების განვითარებას (RE-1, RE-2, RE-3, RE-4) ეხება, სამშენებლო სამუშაოების დროს გამოიწვევენ მხოლოდ ხანმოკლე და ადგილობრივი მასშტაბის უარყოფით ზემოქმედებებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე.“ (გვ.124)</p> <p><i>რამდენია მიკრო? მარტო მიკროები იგულისხმება ეს განახლებადები?</i></p> <p><i>საოპერაციო?</i></p>	<p>აღწერა: 2030 წელს მინიმუმ 200 მგვტ ჯამური სიმძლავრის მქონე ელექტროენერჯის მიკრო-გენერაციის პოლიტიკური და საინვესტიციო მხარდაჭერა (500 კვტ-მდე).</p>
<p>53.</p>	<p>„ქარის ტურბინების მუშაობით (RE-1) გამოწვეული ხმაურის შემცირება, რომელმაც, შესაძლოა, ხანგრძლივი უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს მიმდებარე მოსახლეობაზე, შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებების განხორციელების გზით:“ (გვ.124)</p> <p><i>ეს უკვე საოპერაციო ზემოქმედებებია?</i></p>	<p>გარემოზე ზემოქმედება ექსპლუატაციის დროს.</p>
<p>54.</p>	<p>„სხვა ოპერატიული ზომების მიღება, როგორცაა ტურბინების ღამით ან იმ დროს გამორთვა, როდესაც ხმაურის დონე ზედმეტად შემაწუხებელი იქნება.“ (გვ.124)</p>	<p>აღნიშნული განხორციელებადია იმ შემხვევაში თუ ეს განისაზღვრება საკანონმდებლო დონეზე.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>რამდენად რეალისტურია ეს ან ამის გაკონტროლება?</p>	
<p>55.</p>	<p>„4.2.3.1 პირდაპირი ზემოქმედებები“ (გვ.125)</p> <p>აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ეკოლოგიურ-ეკონომიკური ზემოქმედება მდინარეების ენერჯის კერძო სექტორებისთვის გადაცემის შედეგად, რაც გაანალიზებულია ნაშრომში https://greens.ge/storage/publications/June2023/fqQR0AVNbbTpCi3VdQ7B.pdf იცილეთ სურათი 4 და მსჯელობა 23-24 გვერდებზე. აპირებს თუ არა სგშ გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ხარჯების და სარგებელის თუნდაც ზედაპირულად გაანგარიშებას?</p>	<p>სგშ-ს მიზანს არ წარმოადგენს გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ხარჯების და სარგებლის გაანგარიშება.</p>
<p>56.</p>	<p>„მდინარის ჩამონადენის შეცვლილი რეჟიმი სავარაუდოდ ზემოქმედებას მოახდენს ქვედა დინებაში წარმოდგენილ წყალმომხმარებლებზე.“ (გვ.127)</p> <p>მითუმეტეს აუცილებელია სგშ-ში ქვემოთ ციტირებულ ნაშრომში აღწერილი ეკონომიკური საჯარო სარგებლიანობის საკითხის დაყენება ასევე სოციალური კუთხითაც, იხ. https://greens.ge/storage/publications/June2023/fqQR0AVNbbTpCi3VdQ7B.pdf</p>	<p>საკითხი სოციალური კუთხით ისედაც დაყენებულია, თუმცა მისი ეკონომიკური კუთხით დაყენება არ არის მიზანშეწონილი. ჩამონადენის შეცვლილმა რეჟიმმა შეიძლება იმოქმედოს წყალმომხმარებლებზე წყლის ხარჯის, ხარისხის და ა.შ კუთხით, თუმცა ეკონომიკურ მდგომარეობაზე პირდაპირ ზეგავლენას არ მოახდენს.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

<p>57.</p>	<p>„მიწისქვეშა წყლებზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, შესაძლებლობის შესაბამისად, უპირატესობა ჩაკეტილ სისტემებს (closed-loop systems) უნდა მიენიჭოს.“ (გვ.128)</p> <p><i>"მოთხოვნილია" თუ "რეკომენდებული" მხოლოდ?</i></p>	<p>სგმ არის რეკომენდაციული სახის დოკუმენტი, შესაბამისად მხოლოდ რეკომენდირებულია.</p>
<p>58.</p>	<p>„ეს მაჩვენებელი განახლებადი ენერჯის (ქარის, მზის და ჰიდრო) წილის 87%-მდე გაზრდით უნდა იქნეს მიღწეული.“ (გვ.128)</p> <p><i>ნეტო აღრიცხვის თემაზე რატომ არ არის საუბარი, რომელიც პრაქტიკულად ვერ ფუნქციონირებს?</i></p> <p><i>ამ გზით გაცილებით უკეთესი შედეგების მიღწევა იქნებოდა შესაძლებელი პრაქტიკულად ზემოქმედებების გარეშე. რეალური ნეტო აღრიცხვის დანერგვა უნდა იქნას სგშ-ს მიერ მოთხოვნილი. როგორც</i></p> <p><i>გვეუბნებიან ენერგეტიკოსები, გენერაციის და დისტრიბუციის განცალკევებამ ამ მხრივ პრობლემები შექმნა. ამ პრობლემაზე დოკუმენტში არ არის საუბარი.</i></p>	<p>ნეტო აღრიცხვის სქემა უკვე დანერგულია. რაც შეეხება სგშ-ს მიერ მის მოთხოვნას ალოგიკურია სტრატეგიული დოკუმენტის გარემოსდაცვითმა შეფასებამ მოითხოვოს ისეთი ეკონომიკურ-ენერგეტიკული პრაქტიკის დანერგვა როგორც არის ნეტო აღრიცხვა. ნეტო აღრიცხვის დანერგვას ჰქონდა თავისი წინაპირობა და იგივე კოდექსით არ დგება, რომ ნეტო აღრიცხვაში ჩართული მომხარებელი უნდა დაექვემდებაროს გზშ-ს.</p> <p>ელექტროენერჯის გენერაციის/დისტრიბუციის განცალკევება არის ე.წ „ანბანდლინგის“ პროცესი, რომელიც ეხება არამხოლოდ ნეტო აღრიცხვას.</p>
<p>59.</p>	<p>„წყლის ობიექტებზე დაგეგმილი/მშენებარე ჰესების კუმულაციური ზემოქმედების შეფასება</p>	<p>წყალაღების მონაცემები კონკრეტული პროექტის გზშ-ს ნაწილია.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>რთულია, ვინაიდან წყალაღების მონაცემები მდინარეთა აუზების მიხედვით უცნობია.“ (გვ.128)</p> <p>რატომ არის უცნობი, ეკონომიკის და გარემოს დაცვის და წყლის და ენერჯეტიკის მარეგულირებელი ორგანოები არ იღებენ ამ მონაცემებს?</p> <p>არ მიაწოდეს კონსულტანტს? ამ ანალიზის და ამ მონაცემების გარეშე სგშ ვერ ჩაითვლება სრულფასოვნად შესრულებულად, რადგან კუმულაციური ზემოქმედების ანალიზი აუცილებელია შესასრულებლად.</p>	
<p>60.</p>	<p>„არსებული და დაგეგმილ ჰესების პროექტების გათვალისწინებით, კუმულაციური ზემოქმედების სათანადოდ შესაფასებლად საჭიროა დამატებითი ანალიზის ჩატარება.“ (გვ.128)</p> <p>ვინ ჩაატარებს ამ ანალიზს, თუკი არც სგშ აკეთებს ამას და არც გზშ-ები, არც სააუზო გეგმები და მათი სგშ-ები?</p>	<p>ჰესების კუმულაციური ანალიზი არის ცალკე კვლევის საგანი რომელიც წესით გარემომ უნდა ჩაატაროს.</p>
<p>61.</p>	<p>„რუკებზე ქვემოთ წარმოდგენილია არსებული ჰესები მდინარეთა აუზების მიხედვით (ხოზისწყლის, ჭოროხის, სუფსის, რიონის, ენგურის, მტკვრის, ალაზნის აუზები).“ (გვ.129)</p>	<p>რუკაზე წარმოდგენილია ის აუზები რომლებიც დოკუმენტშია მოცემული, როგორც ძირითადი ჰესები.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>სხვა აუზები გვაქვს თუ დაფარულია მთელი საქართველო?</p>	
<p>62.</p>	<p>„ნახ. 34 . არსებული და დაგეგმილი ჰესები მდინარეთა შერჩეულ აუზებში“ (გვ.129)</p> <p><i>შეიპფაილები საჭიროა გამოქვეყნდეს როგორც არსებული ისე დაგეგმილი ჰესების, რათა საზოგადოებამ შეძლოს კუმულაციური ზემოქმედებების შესახებ მონაცემების მიღება და განახორციელოს საზოგადოების უფლება სათანადო ანალიზისა.</i></p> <p><i>თუნდაც შევეცდებოდით ჰესების კაშხლების სიმაღლეების ან გენერაციის ვიზუალიზაციას და კუმულაციური ეფექტების ასე შეფასებას, რაც ქვემოთ რუკებზე არ არის წარმოდგენილი. აუზის საზღვრების მოხაზვაც არ იქნებოდა ურიგო.</i></p> <p><i>იქნებ დაგვეთვალა, რამდენი თანხა აკლდება ბიუჯეტს მდინარის ენერჯის განკერძოებით? ვინ მდიდრდება საბოლოო ჯამში, უცხოური საჯარო საფინანსო ინსტიტუტები თუ საქართველოს ბიუჯეტი? ვინ აფინანსებს ამ პროექტებს? რამდენია დღეში შემოსავალი 100 „მიკრო“ ჰესისგან, რომლებიც დავთვალეთ რუკაზე?</i></p> <p><i>კლიმატის სამოქმედო გეგმაში მოთხოვნილია დაემატოს ქმედება „ჰიდროელექტროსადგურების ენერჯის ეკოლოგიურ-სოციალურ-ეკონომიკური</i></p>	<p>არსებული ჰესების შეიპფაილები, რომელზედაც უკვე გაცემულია ნებართვა და ექსპლუატაციაშია, ინფორმაცია უკვე გამოქვეყნებულია (მას შემდეგ რაც ეს გახდა კანონით სავალდებულო).</p> <p>დაგეგმილი ჰესების ზუსტი შეიპფაილების გამოქვეყნება მოხდება მაშინ, როცა დაიწყება მათი გზშ-ს ეტაპი, სადაც ეს პროცედურა უკვე კანონით განსაზღვრული ვალდებულებაა.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>სარგებელისა და ხარჯის და კუმულაციური ზემოქმედებების დიაგნოსტიკური კვლევა“ (სათანადო დასაბუთებები წარდგენილია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე), ამავე წინადადებით და იმავე დასაბუთებებით შემოვდივართ წინადადებით რომ ჩაემატოს სათანადო ქმედება ამ სტრატეგიულ დოკუმენტებსა და სგშ-ს.</p>	
<p>63.</p>	<p>„პრევენციული ღონისძიებები“ (გვ.134)</p> <p>კლიმატის სამოქმედო გეგმაში მოთხოვნილია დაემატოს ქმედება "ჰიდროელექტროსადგურების ენერჯის ეკოლოგიურ-სოციალურ-ეკონომიკური სარგებელისა და ხარჯის და კუმულაციური ზემოქმედებების დიაგნოსტიკური კვლევა“ (სათანადო დასაბუთებები წარდგენილია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე), ამავე წინადადებით და იმავე დასაბუთებებით შემოვდივართ წინადადებით რომ დაემატოს სათანადო ქმედება ამ სტრატეგიულ დოკუმენტებსა და სგშ-ს. თუკი არ შესრულდება აღნიშნული კვლევა, კლიმატის შემდეგ სამოქმედო გეგმაში შეჩერებულ იქნას ჰესების მხარდაჭერა.</p>	<p>სგშ-ს დოკუმენტში საკითხები წარმოდგენილია წესების მიხედვით.</p>
<p>64.</p>	<p>„გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცება და მისი გამოყენების ხელშეწყობა.“ (გვ.134)</p>	<p>იხ. გვ 150, კერძოდ:</p> <p>„მიკრო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობამდე საფუძვლიანი კვლევების ჩატარება ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზემოქმედების შესაფასებლად</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>როდის? რატომ არ არის მოხსენიებული ამავე კონსულტანტის მიერ იმავე დონორით დაფინანსებული მეთოდოლოგია და სახელმძღვანელო?</p>	<p>„ჰიდროენერგეტიკული პროექტების გზშ-ის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით;“</p>
<p>65.</p>	<p>„ჭესების ოპერირების დროს მათ მიერ გაშვებული წყლის რაოდენობის გაზომვა უნდა იყოს სავალდებულო, ხოლო მონაცემები - საჯაროდ ხელმისაწვდომი.“ (გვ.135)</p> <p>ასევე აღებული და გამომუშავებული წყლის ხარჯები.</p>	<p>საქართველოს კანონით „წყლის შესახებ“ აღნიშნული ვალდებულება უკვე განსაზღვრულია, კერძოდ „მუხლი 41. წყალმოსარგებლის ვალდებულებანი“-ის მიხედვით წყალმოსარგებლე ვალდებულია დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს წყალსარგებლობის აღრიცხვა; ამავე კანონის მუხლი 53-ის მიხედვით:</p> <p>5. სამრეწველო მიზნით და ჰიდროენერგეტიკული საჭიროებისათვის წყლის ობიექტით სარგებლობის დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:</p> <p>ა) წყალმოსარგებლენი, რომლებიც წყლის ობიექტით სამრეწველო მიზნით სარგებლობენ, ვალდებული არიან, დაიცვან ტექნოლოგიური ნორმები და წყალსარგებლობის წესები, მიიღონ ზომები წყლის ხარჯის შესამცირებლად და ჩამდინარე წყლების ჩაშვების შესაწყვეტად წარმოების ტექნოლოგიისა და წყალმომარაგების სქემების სრულყოფის გზით (უწყლო ტექნოლოგიური პროცესების, ჰაერით გაცივების, ბრუნვითი წყალმომარაგებისა და სხვა ტექნოლოგიური ხერხების გამოყენებით);</p> <p>ბ) მიწისქვეშა წყალი, რომელიც არ განეკუთვნება სასმელი ან სამკურნალო წყლების კატეგორიას, შეიძლება დადგენილი წესით გამოყენებულ იქნეს ტექნიკური წყალმომარაგებისათვის, მისი შემადგენლობიდან ქიმიური ელემენტების ამოსაღებად, თბოენერგიის მისაღებად და სხვა საწარმოო საჭიროებისათვის, წყლის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით;</p> <p>გ) წყლის ობიექტით ჰიდროენერგეტიკული საჭიროებისათვის სარგებლობა ხორციელდება წყლის კომპლექსური გამოყენების მოთხოვნათა დაცვით და სხვა დარგთა ინტერესების გათვალისწინებით;</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

		<p>დ) ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ექსპლუატაციას უწევენ წყალსაცავების ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს, ვალდებული არიან, უზრუნველყონ წყალსაცავის ავსებისა და დაცლის რეჟიმი, რომელიც დადგენილია წყალსაცავის მოქმედების ზონაში მყოფ წყლითა და მიწით მოსარგებლეთა ინტერესების გათვალისწინებით;</p> <p>ე) ენერგეტიკული დანიშნულების წყალსაცავების ექსპლუატაციის წესს თითოეული წყალსაცავისათვის, კასკადისათვის ან წყალსაცავების სისტემისათვის შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ბრძანებით „ენერგეტიკული დანიშნულების წყალსაცავების ექსპლუატაციის წესების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;</p> <p>ვ) ამ პუნქტის დებულებები ვრცელდება აგრეთვე წყალსაცავებად გამოყენებული ტბებისა და წყლის სხვა ობიექტების ექსპლუატაციაზე.</p> <p>იხ.ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/33448?publication=27</p>
66.	<p>„მდინარეთა აუზების დონეზე წყლის რესურსების მართვის საკითხებში დარგთაშორისი კოორდინაციის უზრუნველყოფა ნებისმიერი წყალმოსარგებლისთვის წყლის შესაძლო დეფიციტის თავიდან ასაცილებლად.“ (გვ.135)</p> <p>რამდენად ითვალისწინებს აღნიშნულს უკვე შემუშავებული ან შემუშავების ეტაპზე მყოფი სააუზო გეგმები და მათი სგშ-ები (მათ შორის სადემონსტრაციო სგშ შემუშავებული სგშ-ის ავტორის "გეო"-ს მიერ)?</p>	<p>ამავე კანონის მუხლი 41-ის მიხედვით, წყალმოსარგებლე ასევე ვალდებულია: <i>ბ) არ დაუშვას სხვა წყალმოსარგებლეთა უფლებების შელახვა და სამეურნეო და ბუნებრივი ობიექტებისათვის ზიანის მიყენება; თუ ეს მაინც მოხდა, წყალმოსარგებლე ვალდებულია, კანონით დადგენილი წესით აანაზღაუროს მიყენებული ზიანი;</i></p> <p>კანონის ავტორია: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.</p>
67.	<p>“4.2.4.3 ზემოქმედებების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები.“</p>	<p>მოცემულია დოკუმენტი არის სტანდარტული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მოცემულია ღონისძიებების ჩამონათვალი რომლებიც მორგებადია</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>(გვ.136)</p> <p><i>მოყვანილია მხოლოდ სტანდარტული ჩამონათვალი ზოგადი ღონისძიებების რომელიც არავის არაფერს ავალდებულებს და იმავე დროს არ იყენებს შესაძლებლობას ინოვაციური ღონისძიებების შემოთავაზებისა, მაგალითად აგრისოლარი, ბიოსოლარი, სილვიკულტურა და მრავალი სხვა.</i></p>	<p>ყველა პროექტისთვის. ინდივიდუალური მიდგომებისთვის კონკრეტული პროექტების მიმართ არსებობს გზშ-ს დოკუმენტები.</p>
<p>68.</p>	<p>„უბნები „ნიგოზა“ (50 მგვტ) და „კასპი“ (54 მგვტ) ზურმუხტის ქსელის ტერიტორია „კვერნაკს“ (GE0000046) ემთხვევა.“ (გვ.140)</p> <p><i>ასევე ძლიერი შეუქცევადი ზემოქმედება გვაქვს ფასკუნჯის სახეობაზე. სიტყვა ფასკუნჯი საერთოდ ნახსენები არ არის არც აქ და არც დოკუმენტში.</i></p>	<p>კანონი არ კრძალავს გენერაციის ობიექტების მშენებლობას ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე. ამასთან გვსურს აღვნიშნოთ, „ნიგოზაზე“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება უკვე გაცემულია „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ მიერ.</p>
<p>69.</p>	<p>მიზანშეწონილია, რომ ჰესების ყველა პროექტი დაექვემდებაროს სკრინინგს იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს სრული გზშ-ის ჩატარება.“ (გვ.142)</p> <p><i>"მიზანშეწონილია" არა, "აუცილებელია" შესასრულებლად და მაშინ შეიძლება შესრულდეს კიდევ ეს მოთხოვნა. ისევ ვუბრუნდებით დისკუსიას, როგორია სტატუსი სგშ-სი, მტკიცდება იგი სტრატეგიულ დოკუმენტებთან ერთად თუ</i></p>	<p>სგშ რეკომენდაციული ხასიათის დოკუმენტია სადაც განსაზღვრულია რეკომენდაციები. კანონმა უნდა განსაზღვროს აუცილებლობა და არა სამინისტრომ.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<i>არა, რათა ვალდებულებები აღებული იქნას და არა რეკომენდირებული.</i>	
70.	<p>„შესაძლოა.“ (გვ.143)</p> <p><i>შესაძლოა თუ იქნება?</i></p>	იქნება განსაზღვრავს რომ აუცილებლად მოხდება, შესაძლებლობა განსაზღვრავს რისკის არსებობას.
71.	<p>„შესაძლოა.“ (გვ.143)</p> <p><i>თუ მოახდენს? ვერ საზღვრავს ამას სგშ? საერთოდ, ზურმუხტის საიტებზე შესაბამისობის შეფასებას რატომ არ ახორციელებს ეს სგშ? ან რატომ არ ვითხოვთ შესაბამისი გზშ-ებისთვის?</i></p>	შესაძლოა მოახდინოს ნიშნავს რომ არსებობს (%) პროცენტი ანუ ალბათობა.
72.	<p>„ნახ. 38. RE-3 ღონისძიებით გათვალისწინებული ჰესები, რომლებიც სამეგრელო 1 და სამეგრელო 2 ზურმუხტის ქსელის ტერიტორიების ფარგლებში მდებარეობენ.“ (გვ.145)</p> <p><i>ახალი ჰესები 2008 წლის შემდეგ აშენებული არ მოდიან შემხებლობაში დაცულ და სხვა კონსერვაციულ ტერიტორიებთან? სწორედ ამის გასარკვევად გვჭირდება გამოქვეყნება შესაბამისი შეიკვდილების და გის მონაცემთა ბაზის.</i></p>	2008 წელს კანონი არ არსებობდა, შესაბამისად ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პროცესში არ ყოფილა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა. საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების (როგორც არსებულის ასე დაგეგმილის) ერთიანი ბაზის წარმოდგენა დოკუმენტის ფარგლებში სცდება მის მიზნებსა და ამოცანებს. სგშ ანგარიშში მოხდა მხოლოდ გეგმაში მოცემული ობიექტების ზეგავლენის შეფასება (როგორი მოთხოვნაც არსებობდა კანონის მიხედვით). ჰიდროელექტროსადგურების მდებარეობების ერთიანი მონაცემთა ბაზა და კუმულაციური ზემოქმედების შეფასება არ არის დოკუმენტის თვითმიზანი და შეუესაბამოა დოკუმენტის შინაარსთან. ამასთან გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებულია ჰიდროელექტროსადგურები თავისი კოორდინატებით და გარემოზე გაცემული გადაწყვეტილებებით.
73.	<p>„როგორც წესი.“ (გვ.145)</p> <p><i>„როგორც წესი“ თუ უბრალოდ ახდენს?</i></p>	როგორც წესი ნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა არ არის გარდაუვალი განსაკუთრებით მაშინ თუ მოხდება შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინება პროექტის დაგეგმვის ეტაპზე.



კითხვა-პასუხის ფურცელი

74.	<p>„წარმოდგენილი GIS მონაცემები.“ (გვ.145)</p> <p><i>არსებულები თუ მხოლოდ დაგეგმილები?</i></p>	<p>როგორც არსებული ასევე დაგეგმილი.</p>
75.	<p>„4.2.5.3 ზემოქმედებების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები.“ (გვ.147)</p> <p><i>როგორია მოთხოვნები როდესაც დადასტურებულია ქეისის ზემოქმედებები ზურმუხტის ჰაბიტატებსა და სახეობებზე? რაიმე შეიცვალა პოლიტიკასა და გეგმაში/სტრატეგიულ დოკუმენტებში?</i></p>	<p>გენერაციის ობიექტების ზურმუხტის ქსელში მშენებლობა კანონით არ იკრძალება, თუმცა განსაზღვრულია კონკრეტული პირობები და დამატებითი მოთხოვნები, რომელიც კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს.</p> <p>როგორც არაერთხელ უკვე აღინიშნა, კონკრეტული ზემოქმედება როგორც ზურმუხტის ქსელზე, ჰაბიტატებზე და ასევე სხვა ელემენტებზე დგინდება გზშ-ში. დოკუმენტში ასევე მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ სგშ-ს მიზანი და არც მოთხოვნა არ ყოფილა პროექტების მსგავსი სიღრმეებით წარმოდგენა. ნათელია, რომ კონკრეტული პირობების დაცვის გარეშე პროექტის მშენებლობის ნებართვა არ გაიცემა გარემოს მიერ.</p>
76.	<p>„(ნახ.42)“ (გვ.154)</p> <p><i>ალბათ ნახ. 41 იგულისხმება.</i></p>	<p>ტექნიკური საკითხი, გავითვალისწინებთ.</p>
77.	<p>„ნახ. 41. დაგეგმილი ჰესები რაჭის ეროვნულ პარკთან და ზურმუხტის ქსელის ტერიტორიებთან.“ (გვ.155)</p> <p><i>ნახ. 40 ალბათ აღარ არის საჭირო, რადგან 41 გამოსახავს ყველაფერს.</i></p>	<p>ტექნიკური საკითხი, გავითვალისწინებთ.</p>
78.	<p>„კუმულაციური ზემოქმედებები.“ (გვ.155)</p>	



კითხვა-პასუხის ფურცელი

<p>კუმულაციური ზემოქმედების შესაფასებლად გვჭირდება არსებული ჰესების კოორდინატებიც და ყველა სხვა მაჩვენებლებიც (კაშხლის სიმაღლე, სიმძლავრე, გარემოსდაცვითი ხარჯის პარამეტრები, თევზსავალის არსებობა და სხვა). აღნიშნული გასაანალიზებელია, რადგან მთლიანობაში ენერგეტიკის სექტორი პირველად ექვემდებარება კანონმდებლობით მოთხოვნილ სგშ-ს.</p> <p>საერთოდ ვთხოვთ კონსულტანტს, განათავსოს შეკრებილი სივრცითი და სხვა მონაცემები ვებსერვისის მეშვეობით, მონაცემების ჩამოტვირთვის შესაძლებლობით, რათა საზოგადოებასაც მიეცეს ანალიზის შესაძლებლობა.</p>	<p>სგშ არ არის ჰიდროელექტროსადგურების კუმულაციური ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი. ეს აფასებს გეგმით განსაზღვრულ ზემოქმედებებს და იძლევა რეკომენდაციებს მათ შერბილებასთან დაკავშირებით. შესაბამისად ელექტროსადგურების სივრცითი და სხვა მონაცემების შეკრება, განთავსება ან წარმოდგენა სცილდება ამ კონკრეტული სგშ-ს საქმიანობას.</p>
<p>79. „განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მზის პანელების წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას მათი დამზადებისას ტოქსიკური მასალების გამოყენების შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად, ხმარებიდან ამოღებული მზის პანელების განთავსების რეგულაციების გაუმჯობესებას, რეციკლირების უფრო ეფექტიანი და მდგრადი ტექნოლოგიების განვითარების წახალისებას, მიწის ნაცვლად მზის პანელების სახურავებზე და სხვა ურბანულ სივრცეებში დაყენებას.“ (გვ.165)</p> <p>საქართველომ უნდა იზრუნოს ასეთი მზის პანელების დანერგვაზე?</p>	<p>საქართველო გეგმის პოლიტიკით ხელს უწყობს მზის ენერჯის განვითარებას ქვეყანაში. კონკრეტული ღონისძიება, რომელიც ამ რეკომენდაციას ითვალისწინებს გეგმაში ამ ეტაპზე არ არის გაწერილი, თუმცა ტექნოლოგიების განვითარებასთან და ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესთან ერთად მოსალოდნელია, რომ მსგავსი პროექტები სამომავლოდ იქნება.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>აგირსოლარ, ეკოსოლარ, ბიოსოლარ, ვინისოლარის შესახებ ადრე აღინიშნა და აქაც კარგი იქნებოდა მიგვეთითებინა, რადგან მიწაზე სოლარის განვითარება დაიწყება და სათანადო პირობები უნდა წარვუდგინოთ დეველოპერებს.</p>	<p>კონკრეტული ღონისძიებები ამ ეტაპზე არ არსებობს, არც პირობებია განსაზღვრულია შესაბამისად.</p>
<p>80.</p>	<p>„სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება (SESA) – საქართველოს ენერგეტიკის განვითარება, 2023წ.“ (გვ.165)</p> <p><i>უაპელაციოდ ვერ ვენდობით გადაწყვეტებს თვით მსოფლიო ბანკის მხრიდანაც კი: საქართველოს ენერგეტიკის სგშ, მომზადებული მსოფლიო ბანკის დაკვეთით 2005-2007 წლებში არ აღმოჩნდა ბოლომდე მართებული, იხ. Georgia’s Power Sector: Strategic Environmental Assessment, Final Report, December 2007 - South East Europe Consultants, რომლის თანახმადაც საქართველოში მზისა და ქარის ენერჯის განვითარება გაუმართლებელია, ენერგოეფექტურობა კი საერთოდ არ არის განხილული (იხ. https://web.archive.org/web/20110408223026/http://bankwatch.org/documents/risky_deal_risky_business.pdf).</i></p>	<p>დოკუმენტი არ არის გადაწყვეტილება ან სამოქმედო გეგმა. ის არის სარეკომენდაციო და კვლევითი ხასიათის სისტემის მდგრადობის შესაფასებლად გაკეთებული შეფასება. კერძოდ მოცემულია ენერგეტიკის განვითარების სცენარების გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება და მისი შემარბილებელი ღონისძიებები. მოცემული ანგარიში ინტერნეტში საერთოდ არ ძებნება და მეორეც 2005-2007 წლებში მომზადებული ანგარიში ვერ იქნება თანამედროვე დოკუმენტის კვლევის საფუძველი და განხილული, მითუმეტეს თუ ის ავტორის მოსაზრებით არ აღნოჩნდა მართებულივე</p> <p>ვებარქივის ბმულს გადავყავართ დოკუმენტზე“: Risky deal, risky business Khudoni hydropower plant, Georgia გაურკვეველია რა კავშირშია მოცემული დოკუმენტი ზემოხსენებულ კვლევასთან ან თვითონ სგშ-ს ანგარიშთან დაკავშირებულ შენიშვნებთან.</p>
<p>81.</p>	<p>„4.2.10 კულტურული მემკვიდრეობა.“ (გვ.166)</p>	<p>სკოპინგის დასკვნაში იყო მოცემული რომ უნდა მომხდარიყო კულტურულ მემკვიდრეობაზე ზეგავლენის განხილვა. მეორეც საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ითვალისწინებს, რომ სგშ- ანგარიშში მოხდეს ამ ზეგავლენის შეფასება.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>ანუ სგშ იხილავს კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედებებს და სკოპინგის ანგარიშში შეცდომა იყო დაშვებული შეფასებებში?</p>	
<p>82.</p>	<p>„460 მგვტ სიმძლავრის მარეგულირებელი ჰესის პროექტის გამოკლებით, რომლის ადგილმდებარეობა არ არის დაზუსტებული.“ (გვ.166)</p> <p><i>მიუღებელია გასაიდუმლოება იმ ობიექტების, რომლებიც ყველამ კარგად ვიცით: ხუდონი, ნამოხვანი, ნენსკრა.</i></p> <p><i>ნამოხვანის მიერ კულტურული მემკვიდრეობის მრავალი ობიექტის შესაძლო დატბორვა და 2010 წლის გზშ-ში (თურქული კომპანია "ენკონ") კარგად არის დოკუმენტირებული და ალბათ ფაილები გააჩნია გარემოს დაცვის სგშ პასუხიმგებელ ორგანოს. შეიძლება გის ფაილების გამოთხოვაც. ხუდონის კონფლიქტი სვანების თემთან კარგად დოკუმენტირებული ქეისია.</i></p>	<p>არ არის საუბარი გასაიდუმლოებაზე, უბრალოდ ამ ეტაპზე განუსაზღვრელია კონკრეტულად რომელი ობიექტი იქნება ეს. როცა დადგინდება კონკრეტულად რომელ პროექტში შეიძლება ამ სიმძლავრის მიღება ყველაფერი გახდება საჯარო როგორც ამას კანონი მოითხოვს.</p>
<p>83.</p>	<p>„ღონისძიება EE-24 „ (გვ.174)</p> <p><i>მოხვედრილია თუ არა სტრატეგიულ დოკუმენტებში მაღალი წნევის გაზსადენების მეთანის ემისიის შემცირების საკითხი? აღნიშნული საქმიანობა ერთერთი ყველაზე ეფექტური ღონისძიებაა მეთანის ემისიების შემცირების პოტენციალიტ საქართველოში.</i></p>	<p>მაღალი წნევის გაზსადენის მეთანის ემისია არ არის წარმოდგენილი როგორც ღონისძიება, შესაბამისად ის არ არის შესული სგშ-ში.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

<p>84.</p>	<p>„მველი თბოელექტროსადგურების კომბინირებული ციკლის გაზის ტურბინის ტექნოლოგიით მომუშავე ახალი, უფრო ეფექტიანი თბოელექტროსადგურებით ჩანაცვლება (EE-21)“ (გვ.174)</p> <p><i>ვადლიერებთ სათბურის გაზების ემისიის lock-in ეფექტს? აღნიშნული არ შეესაბამება კლიმატის 28-ე მხარეთა შეხვედრაზე მიღებულ გადაწყვეტილებების სულისკვეთებას და არასწორი მიმართულებით მიჰყავს ჩვენი ქვეყანა წიაღისეულის საწვავის გამოყენებისკენ და არა ამის საწინააღმდეგო მიმართულებით.</i></p>	<p>ვინაიდან თბოელექტროსადგურების საჭიროება საქართველოს ენერგეტიკულ სისტემას ჯერ კიდევ გააჩნია. მათი უფრო ეფექტური სისტემებით ჩანაცვლება, რომელსაც ასევე გააჩნია მეთანის ჩაჭერის მექანიზმი უზრუნველყოფს ემისიების შემცირებას არსებულ დონესთან შედარებით.</p>
<p>85.</p>	<p>„ემისიების კონტროლის საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების, მაგ., სკრუბერების, DeNOx-ის და დესულფურიზაციის სისტემების, გამოყენება კვამლიდან შესაბამისად NOx-ის და SO2-ის მოსაცილებლად;“ (გვ.175)</p> <p><i>ის ხომ ისედაც იგულისხმება ახალ სისტემებში? ანუ აღნიშნულის გათვალისწინება პირობად უნდა იყოს ჩადებული და არა შემარბილებელ ღონისძიებად.</i></p>	<p>შემარბილებელი ღონისძიება ნიშნავს ისეთი სახის ქმედებას, რომელიც სასურველია განხორციელდეს გარემოზე ნაკლები ზიანის მიყენების მიზნით.</p>
<p>86.</p>	<p>„პროექტი, სავარაუდოდ, ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვან პირდაპირ ზემოქმედებას არ მოახდენს. თუმცა, როგორც რუკიდან ჩანს,</p>	<p>ზურმუხტის ქსელში ობიექტების მშენებლობა აკრძალული არ არის და მასზე ნებართვა გაიცემა შესაბამისი პირობების დაცვით. ეს არ ნიშნავს, რომ ზემოქმედება მაღალია. ამასთან პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედება არ განისაზღვრება იმით, თუ ტერიტორიულად სად</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>აღნიშნული ტერიტორია ზურმუხტის ქსელის ტერიტორიებთან ახლოს მდებარეობს.“ (გვ.181)</p> <p><i>ეს ორი წინადადება ეწინააღმდეგება ერთმანეთს.</i></p>	
<p>87.</p>	<p>“4.4.11 სოციალურ-ეკონომიკური გარემო” (გვ.227)</p> <p><i>ამდენად შეესაბამება საქართველოს ინტერესებს შავი ზღვის კაბელი და ხომ არ ხდება საქართველოს ინტერესების უგულვებელყოფა, მაგალითად რა წერია მემორანდუმში რომელსაც ხელი მოვაწერეთ, ან აქვს თუ არა ადგილი ზემოქმედება ჩვენს დაცულ ტერიტორიებზე და კოლხეთის იუნესკოს ბუნებრივი მემკვიდრეობის საიტზე?</i></p> <p><i>კომპენსაციის სახით, ხომ არ გაიმართოს მოლაპარაკება აზერბაიჯანის მხარესთან გარეჯის კომპლექსის თაობაზე, როგორც საქართველოსთვის უმინშვნელოვანეს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე და მის შეყვანაზე იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სიაში, თუნდაც ერთობლივი წინადადებით?</i></p>	<p>შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი არის წინასწარი შესწავლის ფაზაში და ეს შესწავლა, გარემოს დაცვის საკითხების გარდა, მოიცავს ბევრ სხვა კომპონენტს.</p> <p>პროექტის მარშრუტს, წინასწარი შესწავლის (და არა პროექტირების) ფაზაში ხდება მხოლოდ სხვადასხვა ალტერნატივების განხილვა, რომელიც შეეხება საქართველოსა და რუმინეთის სახმელეთო ტერიტორიებს და მათთან დამაკავშირებელი პროექტის საზღვაო ნაწილს. ამ ეტაპზე წინა-საპროექტო შესწავლა ჯერ დასრულებული არ არის და პროექტის მარშრუტიც არ არის განსაზღვრული. ამდენად, პასუხის გაცემა კითხვაზე, მოხვდება თუ არა ის კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, რთულია, რადგან ალტერნატივების კვლევა ჯერ არ დამთავრებულა, თუმცა ერთი-ერთი ალტერნატივა არ გამორიცხავს კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვაო ნაწილში შესვლას.</p> <p>ევროკავშირთან და ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეწყობის მხარეებთან საქართველოს აქვს პოტენციური პროექტი შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი. ამ ეტაპზე შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი არის წინასწარი შესწავლის ფაზაში და ეს შესწავლა, გარემოს დაცვის საკითხების გარდა, მოიცავს ბევრ სხვა კომპონენტს. შესწავლა ახორციელებს სსე-ის კონსულტანტი იტალიური კომპანია „ჩეზი“. რაც შეეხება პროექტის მარშრუტს, წინასწარი შესწავლის (და არა პროექტირების) ფაზაში ხდება მხოლოდ სხვადასხვა ალტერნატივების განხილვა, რომელიც შეეხება საქართველოსა და რუმინეთის სახმელეთო ტერიტორიებს და მათთან დამაკავშირებელი პროექტის საზღვაო ნაწილს. ამ ეტაპზე წინა-საპროექტო შესწავლა ჯერ დასრულებული არ არის და პროექტის მარშრუტიც არ არის განსაზღვრული. ამდენად, პასუხის გაცემა კითხვაზე, მოხვდება თუ არა ის კოლხეთის ეროვნული</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

		<p>პარკის ტერიტორიაზე, რთულია, რადგან ალტერნატივების კვლევა ჯერ არ დამთავრებულა, თუმცა ერთი-ერთი ალტერნატივა არ გამორიცხავს კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვაო ნაწილში შესვლას. საპროექტო ტერიტორიაში მოხვედრილი კულტურული მემკვიდრეობა ჯერ აღრიცხული ვერ იქნება, რადგან არ არის შერჩეული პროექტის დაზუსტებული მარშრუტი. ხაზს გავუსვამ, რომ მარშრუტის შერჩევის შემდეგ ჩატარდება კულტურული მემკვიდრეობის კვლევა როგორც ხმელეთზე, ისე წყალქვეშ და ეს მოხდება კვალიფიციური სპეციალისტების მიერ. ექპერტმა თავის შეკითხვაში ახსენა მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული ე.წ. 300-მეტრიანი დაცვის ზონა, რომელიც იცავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს და იკითხა, იქნება თუ არა ეს გათვალისწინებული. ამასთან დაკავშირებით, მოგახსენებთ, რომ მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო-ხელშეკრულებაში (World Bank Environmental and Social Framework) განსაზღვრული სტანდარტები, სადაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვა წარმოდგენილია მე-8 კომპონენტით (ESS 8) და მასში ზოგადაა განხილული ის აუცილებელი აქტივობები და მიდგომები, რაც გამოყენებულ უნდა იქნას სამშენებლო პროექტების განხორციელებისას. თუმცა დაცვის ზონების შესახებ მასში არაფერია ნათქვამი. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონების საკითხები მოცემულია საქართველოს კანონში კულტურული მემკვიდრეობის შესახებ და ის გამოყოფს ფიზიკური და ლანდშაფტურ-ვიზუალური დაცვის სხვადასხვა ფორმას, სადაც 300-მეტრიანი ლანდშაფტურ-ვიზუალური დაცვის ზონა აქვთ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს, 500-მეტრიანი - ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებს, ხოლო 1000 მეტრიანი - იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში (UNESCO World Heritage List) მყოფ ძეგლებს. რასაკვირველია წყალქვეშა კაბელის სახმელეთო ნაწილის მარშრუტის შერჩევისას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები გათვალისწინებული იქნება და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებსა და ძეგლებს დაზიანების ან განადგურების საფრთხე არ დაემუქრებათ.</p>
88.	<p>“უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ევროკავშირის სამშენებლო სტანდარტების მიღებას აპირებს, კერძოდ, დაგეგმილია გეოლოგიურ საფრთხეებთან პირდაპირ კავშირში მყოფი ევროკოდი 7-ის (გეოტექნიკური</p>	<p>2023 წლის 17 ოქტომბერს გაიცა საქართველოს მთავრობის დადგენილება №415, რომელიც ეხებოდა „საქართველოს სტანდარტების „ევროკოდი 4“, „ევროკოდი 5“ და „ევროკოდი 7“ მათი ცვლილებების, ნაწილებისა და მათი შესაბამისი ეროვნული დანართების (NA) საქართველოს ტერიტორიაზე გამოქმედდომ დაშვების შესახებ“ იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5943934?publication=0</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>დაპროექტება) და ევროკოდი 8-ის (მიწისძვრებისადმი მდგრადი კონსტრუქციების დაპროექტება) მიღება.” (გვ.237)</p> <p><i>როდის ამოქმედდება აღნიშნული სტანდარტები?</i></p>	<p>რაც შეეხება ევროკოდ-8 ის ჯერ არ არის მიღებული.</p>
<p>89.</p>	<p>“4.6 3.4.4 ენერგეტიკული სიღარიბის დაძლევის მიმართულება ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის ამ მიმართულების ღონისძიება მიზნად ისახავს შედარებით ღარიბი და მთიან რეგიონებში მცხოვრები შინამეურნეობების დახმარების მიმდინარე პროგრამების განხორციელებას. როგორც სკოპინგის, ასევე სგშ-ს ეტაპზე ამ ღონისძიების ძალიან მნიშვნელოვანი ან მნიშვნელოვანი ზემოქმედებები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე არ გამოვლენილა.” (გვ.238)</p> <p><i>ჰესების შემოსავლების გადინებას ბიუჯეტიდან არ ექნება ძლიერი ზემოქმედება?</i></p>	<p>ბიუჯეტზე ზეგავლენა არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული აუცილებლად აისახება მოწყვლადი მომხარებლების მდგომარეობაზე და სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმებზე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა მუდმივად განვითარებადი პროცესია.</p>
<p>90.</p>	<p>“4.8 შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებები” (გვ.238)</p> <p><i>ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებები შეფასებული არ არის, რაც მიუღებელია, რადგან შეფასება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გაკეთდეს, თუნდაც ზოგადი. ამასთან, ოფიციალურ პროცესს ვერ წამოვიწყებთ, მაგრამ ნებაყოფლობითი პროცესის</i></p>	<p>სტრატეგიული დოკუმენტი არ მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომელსაც ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს ტრანსსასაზღვრო შეფასებაზე.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>წამოწყობაც შესაძლებელია. მაგალითად, საინტერესოა, ეწეება ჩვენს ქვეყანაზე ზემოქმედება თურქეთის ჰესებს?</p>	
<p>91.</p>	<p>“ცხრილი 13-ში წარმოდგენილია ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის განსახორციელებლად საჭირო მონიტორინგის ჩარჩო. “ (გვ.239)</p> <p>მონიტორინგის ჩარჩო არა, მონიტორინგის გეგმაა საჭირო.</p>	<p>შინაარსობრივად ორივე ერთი და იგივეა, განსხვავდება მხოლოდ ვორდინგი რაც არ უშლის პროცესის განხორციელების შინაარსს.</p>
<p>92.</p>	<p>“ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის (NECP) სცენარი. ეს ალტერნატიული სცენარი გულისხმობს 237 მგვტ საერთო დადგმული სიმძლავრის მოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურების, 430 მგვტ მარეგულირებელი ჰესების, 547 მგვტ მზის, 750 მგვტ ქარის და 500 მგვტ გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურების აშენებას და გაშვებას 2030 წლისთვის. ეს სცენარი წარმოადგენს სტრატეგიული დოკუმენტით რეკომენდებულ ალტერნატიულ სცენარს ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.“ (გვ.244)</p> <p>რადგან NECP-ს ვამზადებთ რეალურად მის ფარგლებში გვჭირდება ალტერნატივების განხილვა და არა მის ფარგლებს მიღმა.</p>	<p>გეგმის სცენარის მიხედვით მოთხოვნაზე რეაგირებისთვის და ქსელის დასაბალანსებლად საჭიროა მინიმუმ 430 მგვტ ჰიდროელექტროსადგური. მოდელის მიხედვით მოცემული სცენარები არის მინიმალური სიმძლავრეები რომელიც საჭირო იქნება გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად გეგმის სცენარი არის მინიმალური სცენარი.</p> <p>ამასთან გეგმაში ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგური განსაზღვრულია, როგორც სისტემისთვის ბალანსისთვის სამომავლოდ საჭირო, თუმცა ამ ეტაპზე არ არის განსაზღვრული კონკრეტული ღონისძიება ან სხვა რაიმე დეტალი. იგივე ეხება სხვა პროექტებსაც, რომელიც წარმოადგენს ენერგოსექტორის ხედვებს და არა კონკრეტულ ღონისძიებებს.</p> <p>ამასთან კითხვაში არის ტექნიკური შეცდომა, ენერგეტიკული უსაფრთხოების მეხუთე ღონისძიებაში ES-5: ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგურების მშენებლობა ენერგოსისტემის მოქნილობისა და საიმედოობის ზრდისა და ცვალებადი განახლებადი ენერჯის წყაროების ქსელში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით. ჰიდრომააკუმულირებელი სადგურის სიმძლავრე არის დაახლოებით 600 მეგავატი და არა 760.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>მაკუმულირებელ ჰესს არ ვაშენებთ 760 მეგავატის?</p>	
<p>93.</p>	<p>“წარმოდგენილია ორივე ალტერნატივისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა საინჟინრო, ფინანსური, სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საკითხი, უპირატესობები და გამოწვევები. სტრატეგიული დოკუმენტში წარმოდგენილი შეფასება ადგენს, რომ გაზზე მომუშავე თბოელექტროენერგია საჭიროებს გაზის იმპორტს, რაც ეწინააღმდეგება ენერგეტიკული უსაფრთხოების ხელშეწყობის მიზანს.” (გვ.245)</p> <p>1 მაშინ მოვითხოვთ რომ ამოღებულ იქნას ასეთი ქმედება.</p>	<p>სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მეორე ალტერნატიული სცენარი (ისევე როგორც პირველი) NECP-ის სცენართან შედარებით წამგებიანია და ვერ მიიღწევა ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის და ენერგეტიკული უსაფრთხოების მიზნები. გეგმის დასკვნით ნაწილში ეს კარგად არის შეფასებული.</p>
<p>94.</p>	<p>სტუდენტების მიერ გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სკოპინგის სახელწოდებას, რომელიც უნდა ყოფილიყო სკოპინგის „ანგარიში“ და არა „განცხადება“. რა თქმა უნდა, უკვე განხილული დოკუმენტი ვერ შეიცვლებოდა, თუმცა საიტზე სკოპინგი ატვირთულია ისევ განცხადების სახელით და სგშ-ს დოკუმენტშიც ყველგან მოხსენიებულია, როგორც განცხადება და არა ანგარიში.</p> <p>სასარგებლო იქნებოდა გათვალისწინებულიყო სტუდენტების რეკომენდაცია და კოდექსში შესულიყო შესწორება, რომლითაც მოთხოვნილი</p>	<p>საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ მუხლი 3. ტერმინთა განმარტება</p> <p>ტ) სკოპინგის ანგარიში – წინასწარი დოკუმენტი, რომელიც საქმიანობის განმახორციელებელმა ან/და კონსულტანტმა მოამზადა და რომლის საფუძველზედაც სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას;</p> <p>უ) სკოპინგის განცხადება – წინასწარი დოკუმენტი, რომელიც დამგეგმავმა ორგანომ ან/და კონსულტანტმა მოამზადა და რომლის საფუძველზედაც სააგენტო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გასცემენ სკოპინგის დასკვნებს;</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>იქნებოდა სგშ სკოპინგის ანგარიშის მომზადება, რაც მოითხოვება გზშ-ის შემთხვევაში.</p>	<p>შესაბამისად დოკუმენტი რომელიც სამინისტრომ წარუდგინა სააგენტოს არის სკოპინგის განცხადება.</p>
<p>95.</p>	<p>2023 წლის 13 იანვარს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტებმა მიმართეს, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს, ქალბატონ თამარ ფიცხელაურს განცხადებით და წარუდგინეს საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სკოპინგის განცხადებასთან დაკავშირებული შენიშვნები და რეკომენდაციები. ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო: „7.1 გვ.8-ზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა მოხსენიებულია როგორც აფხაზეთის რეგიონი, დანარჩენ გვერდებზე კი რიგ შემთხვევაში მხოლოდ აფხაზეთი, მაშინ, როდესაც სწორი ფორმა იქნებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. ამასთან საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის დოკუმენტში, რიგ შემთხვევებში მხოლოდ აფხაზეთის, ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონის და ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკად არის მოხსენიებული. გამომდინარე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მნიშვნელობიდან, მსგავსი პოლიტიკის დოკუმენტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს და დაუშვებელია სახელის რამდენიმე ვარიაციით</p>	<p>ეს რეკომენდაცია გაცემული იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან და წარმოადგენს ოფიციალურ ტერმინს როგორც ხდება აფხაზეთის მოხსენიება.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>გამოყენება, მაშინ როდესაც მას იურიდიულად მხოლოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ეწოდება. მხოლოდ ეს მიზეზიც საკმარისად მიგვაჩნია, რომ შეიცვალოს სამივე დოკუმენტი.“ აღსანიშნავია, სგშ-ს ანგარიშში არ იქნა გათვალისწინებული რეკომენდაცია და ისევ მოხსენიებულია, როგორც აფხაზეთის რეგიონი და ზოგიერთ შემთხვევაში, მხოლოდ „აფხაზეთი“.</p>	
<p>96.</p>	<p>შარშან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ გაცემული ერთ-ერთი შენიშვნა ეხებოდა სკოპინგის განცხადებას, სადაც შეტანილი იყო ძველი მონაცემები. ეს შენიშვნა ეხებოდა იმას, რომ 2030 წლისთვის ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში განახლებადი ენერჯის წილმა 27,4% უნდა შეადგინოს, რაც არ არის თანხვედრაში არსებულ მონაცემებთან. ეს შენიშვნა არ იყო გათვალისწინებული განხილვაში.</p>	<p>2022 წლისთვის განახლებადი ენერჯის წილი მთლიან საბოლოო ენერგომოხმარებასი იყო 18,83%. სამიზნე მაჩვენებელი 27,4% მიიღწევა გეგმით მოცემული ღონისძიებების გათვალისწინების შემთხვევაში.</p>
<p>97.</p>	<p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, წინა წლის სტუდენტების მიერ, დოკუმენტზე სახელწოდებით „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში“ წარდგენილი შენიშვნების და მათზე რეაგირების შესახებ რაიმე სახის ინფორმაცია დოკუმენტში არ არის ნახსენები.</p>	<p>დოკუმენტში შეტანილი ცვლილებები და კორექტირებები ეყრდნობა სკოპინგის დასკვნას, რომელიც გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაიცა სხვა დაინტერესებული უწყებების მიერ კომენტარების მიწოდებისა და განხილვის შედეგად. დოკუმენტის ფორმატი არანაირად არ ითვალისწინებს რომ სათითაოდ იყოს იდენტიფიცირებული და ჩამოთვლილი, თუ რომელი კომენტარის ავტორი ვინ იყო და როგორ მოხდა შენიშვნის გათვალისწინება.</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

<p>98.</p>	<p>სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებულ მოთხოვნათა ცხრილში, გაცემული იყო რეკომენდაცია რომ „უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს განახლებადი ენერჯის გამოყენებასა და არსებული ჰესების რეაბილიტაციაზე. მაგალითად ქ.ზუგდიდის ახლოს მდებარეობს ცაიშის თერმული წყლის საბადო. რომლის გონივრულ გამოყენებასა და ჩართვას რეგიონის მდგრად განვითარებასა და ეკონომიკაში ინტეგრირებას დადებითი გავლენა ექნებოდა რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხედვასა და სიღარიბის დაძლევაში. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს თერმული წყლების საბადოები. ყველაზე მძლავრი, დეტალურად დაძიებული და საექსპლუატაციოდ მომზადებული არის ზუგდიდი-ცაიშის თერმული წყლის საბადო. დღეისათვის საბადოს საექსპლუატაციო მარაგები შეფასებულია 14 300მ3 ოდენობით დღე-ღამეში, 800-1000 C ტემპერატურით, რომელიც იღვრება ხევში. სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობით შესაძლებელია ყველა საჯარო დაწესებულების გათბობა ზამთრის ცივ პერიოდში და გასათბობად საჭირო ენერგორესურსის დაზოგვა.“ სგშ-ში არ არის გათვალისწინებული ეს რეკომენდაცია.</p>	<p>სგშ-ში მოცემულია იმ პროექტების განხილვა, რომელიც ენერგეტიკულ პოლიტიკის მიხედვით არის დაგეგმილი ან იმყოფება განხორციელების ეტაპზე. ხსენებულთან დაკავშირებით კონკრეტული პროექტი არ არსებობს, შესაბამისად დოკუმენტის მიზნებიდან გამომდინარე არარებული პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებაა არ იქნებოდა რელევანტური და შესაძლებელი.</p>
<p>99.</p>	<p>2023 წლის 13 იანვარს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტებმა მიმართეს, სსიპ</p>	<p>ვადები განსაზღვრულია საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით“, დოკუმენტის პროცედურაც მიყვებოდა კანონით განსაზღვრულ ვადებს, ეკონომიკის სამინისტროს არ გააჩნია კომპეტენცია დააწესოს კანონისგან</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

<p>გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს, ქალბატონ თამარ ფიცხელაურს, განცხადებით და წარუდგინეს საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სკოპინგის განცხადებასთან დაკავშირებული შენიშვნები და რეკომენდაციები. ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო: „სკოპინგის განცხადების საფუძვლიანად განხილვისთვის და ადეკვატური შენიშვნების და რეკომენდაციების მოწოდებისთვის გამოყოფილი დროის არასაკმარისი პერიოდი. სკოპინგის განცხადება და თანდართული დოკუმენტები („საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა“, „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა (პროექტი)“) ჯამში 658 გვერდია, შესაბამისად მათი ასეთ მოკლე დროში წაკითხვა და გაანალიზება ფაქტობრივად შეუძლებელია. დოკუმენტების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ უკეთესი იქნება თუ მათზე შენიშვნების და მოსაზრებების მიღების ვადა გახანგრძლივდება. ამასთანავე უნდა ითქვას ისიც, რომ სკოპინგის ანგარიშის შესახებ მოსაზრებების და შენიშვნების მიღების ვადა, შესაძლოა უკეთესი იყოს, თუ ყოველი დოკუმენტისთვის ერთი და იგივე არ იქნება (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (ვერსია 2020.01.18)-ის მიხედვით 15 დღე) და ვადის განსაზღვრა მოხდება გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით, მაგალითად: დოკუმენტების გვერდების რაოდენობის,</p>	<p>განსხვავებული ვადები. მიუხედავად ამისა დოკუმენტების შემუშავების პროცესში ჩატარდა ღია საჯარო განხილვებიც დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. ჯამში 12 საჯარო განხილვას ესწრებოდნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, კერძო ექსპერტები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. სამინისტრომ იგივე პრინციპით ჩაატარა სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის და სკოპინგის განცხადების განხილვაც.</p>
--	--



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>დოკუმენტების მნიშვნელობისა და საზოგადოების ინტერესების მიხედვით. უმჯობესი იქნება, თუ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსშიც მოხდება კონკრეტული ცვლილების შეტანა. აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული არ არის და აღსანიშნავია ისიც, რომ დოკუმენტი, რომელსაც ახლა მიმოვიხილავთ, შეადგენს 1010 გვერდს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ დოკუმენტის მნიშვნელობისა და მასზე საზოგადოებრივი ინტერესის მიხედვით, მოხდეს სათანადო ცვლილება კანონმდებლობაში, როგორც სკოპინგის, ასევე სგშ-ს ეტაპზე განსახილველი დოკუმენტაციის ვადებთან დაკავშირებით.</p>	
<p>100.</p>	<p>სგშ-ს ანგარიშში ნახსენებია არსებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და განახლება, მაგრამ არ არის დაზუსტებული თუ რომელი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია იგეგმება, ასევე უმჯობესია რომ იყოს ნახსენები, კონკრეტულად რისი რეაბილიტაცია ესაჭიროება თითოეულ სადგურს და განხილული იყოს სამუშაოთა ჩამონათვალი და მათი გეგმა-გრაფიკი.</p>	<p>სგშ დოკუმენტი არ მოიაზრებს ცალკეული პროექტების დონეზე ჩაღრმავებას და კონკრეტული სადგურების სარეაბილიტაციოდ საჭირო სამუშაოთა ჩამონათვალის გაკეთებას. ეს არის მესაკუთრის პრეროგატივა და დამოკიდებულია მის სურვილზე და საჭიროებებზე.</p>
<p>101.</p>	<p>ცხრილი 2-ის საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის ენერგეტიკული უსაფრთხოების მიმართულება: აღნიშნული</p>	<p>ადგილობრივი რესურსების რაციონალური ათვისება არის ენერგეტიკული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ამოცანა. აღნიშნული ღონისძიება მიმართულია იქითკენ, რომ იმ იმპორტირებული ბუნებრივი გაზის ნაწილი დაიფაროს</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>ნაწილი მიზნად ისახავს ენერჯის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას, რაც, ცალსახად, მნიშვნელოვანია ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისთვის. თუმცა, ნაცვლად განახლებადი რესურსების წილის გაზრდისა, რაც ემისიების შემცირებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, დოკუმენტი განიხილავს ბუნებრივი აირის ადგილობრივი რესურსების ათვისებას, ქვანახშირის სექტორში შიდა ენერგეტიკული რესურსების გამოყენებას და დამატებით, ენერჯის ორივე ზემოაღნიშნულსა და ნავთობის სექტორში რესურსების რაციონალურ ათვისებას. დოკუმენტში მოცემულ ცხრილი 1-ში აღნიშნულია, რომ “ჩვეული პრაქტიკის მეშვეობით საქართველო ვერ შეასრულებს პარიზის შეთანხმების საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებას”. მეტიც, ცხრილში აღნიშნულია ისიც, რომ “საქართველოს მიერ ვალდებულებათა შესრულებისთვის აუცილებელია დამატებითი პრიორიტეტული და ინოვაციური ქმედებები ენერგეტიკის სფეროში”. წიაღისეული საწვავის რესურსების ათვისება კი აბსოლუტურად შეუსაბამოა ზემოაღნიშნულ მიზანთან და მკვეთრად შეუშლის ხელს მის აღსრულებას. მეტიც, ეს მიმართულება ეწინააღმდეგება ევროკავშირის პრიორიტეტს დეკარბონიზაციის შესახებ</p>	<p>ადგილობრივი წარმოებით, რომელიც საბოლოო მოხმარებაში არის. იგივე ეხება სხვა საწვავ რესურსებსაც.</p> <p>აღნიშნული არ აისახება პარიზის შეთანხმებით აღებულ ვალდებულებებზე . ადგილობრივი წიაღისეული რესურსი ანაცვლებს იმპორტის იმ ნაწილს, რომელიც ჯერ კიდევ საჭიროა ენერჯის მომხარებლებისთვის.</p>
102.	<p>რიგით მეორე შენიშვნა ეხება დოკუმენტის გამოქვეყნების თარიღს, რომელიც არის 20.10.2023-</p>	<p>თარიღები მითითებულია საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიხედვით. კანონით განისაზღვრება შესაბამისი ვადები და პროცესის მსვლელობის ეტაპები:</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

<p>ში გამოქვეყნებული, ხოლო, საზოგადოების მხრიდან, შენიშვნების წარდგენის ვადა არის 18.12.2023-ში. აქედან გამომდინარე, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, 2 თვეში შესაძლებელია თუ არა, რომ დაინტერესებულმა საზოგადოებამ მოასწროს დოკუმენტების გაცნობა, წაკითხვა და შემდგომ შენიშვნების დაწერა.</p>	<p>კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუხლი 27. სგშ-ის ანგარიშის განხილვა და რეკომენდაციების გაცემა <p>4. დამგეგმავი ორგანო ამ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში ატარებს სგშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას სააგენტოსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაწილეობით. <u>საზოგადოებას უფლება აქვს, განცხადების ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით განთავსებიდან 40 დღის ვადაში, ამ კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით სააგენტოსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებით.</u> სააგენტო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იხილავენ საზოგადოების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ითვალისწინებენ მათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.</p> <p>იხ.ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981?publication=12</p>
<p>103. მესამე სცენარი - „პირველი ალტერნატიული სცენარი - ქარის ენერჯის უპირატესი გამოყენება“ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტის მტკიცებით, „ენერჯეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის დოკუმენტს დაემატა ალტერნატიული სცენარების თავი,</p>	



<p>რომელშიც წარმოდგენილია სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული სცენარების განხილვა და დასაბუთება. ეს სცენარებია: ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სცენარი, ინერციული (business as usual) სცენარი, პირველი ალტერნატიული სცენარი - მარეგულირებელი 21 ჰიდროელექტროსადგურების ნაცვლად, ქარის ენერჯის უპირატესი გამოყენების სცენარი და მეორე ალტერნატიული სცენარი - მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების ნაცვლად, თბოელექტროსადგურების მშენებლობა“.</p> <p>სინამდვილეში, NECP-ში გაანალიზდა მხოლოდ ორი სცენარი TIMES (The Integrated MARKALEFOM System) მოდელირების პროგრამის საშუალებით, რომელიც გამოიყენება გრძელვადიანი ენერგეტიკული სცენარების შესადგენად: ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სცენარი და ე.წ. ინერციული (business as usual) სცენარი. რაც შეეხება დანარჩენ ორ სცენარს NECP-ში წარმოდგენილია მხოლოდ თითო გვერდიანი აღწერა, თუ რატომ არის მიუღებელი აღნიშნული სცენარები. სამწუხაროდ არც სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასების დოკუმენტში და არც NECP-ის სამუშაო ვერსიაში, დეტალური გათვლები გაკეთებული არ არის.</p>	
---	--



კითხვა-პასუხის ფურცელი

<p>104. უპირატესი სცენარი - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის (NECP) სცენარი უპირატესად მიჩნეული ალტერნატიული სცენარი გულისხმობს 237 მგვტ საერთო დადგმული სიმძლავრის მოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურების, 430 მგვტ მარეგულირებელი ჰესების, 547 მგვტ მზის, 750 მგვტ ქარის და 500 მგვტ გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურების აშენებას და გაშვებას 2030 წლისთვის. ეს სცენარი წარმოადგენს სტრატეგიული დოკუმენტით რეკომენდებულ ალტერნატიულ სცენარს ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. ამ ღონისძიებების გარდა, 2024-2025 წლების განახლებული კლიმატის სამოქმედო გეგმით დამატებით გათვალისწინებულია 200 მეგავატი სიმძლავრის ბატარეების ტექნოლოგიის დაყენება, რაც ამ სცენარით გამოირიცხა. ამასთან, გაუგებარია, დასაბუთების გარეშე, კვლავ ჰიდროელექტროსადგურებზე აქცენტის გაკეთება 2030 წლამდე, მითუმეტეს პრაქტიკულად გამორიცხებულია 430 მეგავატის სიმძლავრის ნამახვანის აშენება 2030 წლამდე. კითხვებს ბადებს ამდენი გენერაციის ობიექტის საჭიროების საკითხიც.</p>	<p>გეგმის სცენარი არ გამორიცხავს არცერთ სხვა სტრატეგიულ გეგმას, მათ შორის არც კლიმატის სამოქმედო გეგმის სიმძლავრეებსაც. გეგმის შემუშავების პროცესში ინფორმაცია აღებული იყო იმ სამოქმედო გეგმიდან, რომელიც იმ ეტაპზე იყო ძალაში.</p> <p>ამასთან გეგმის სცენარი არის მინიმალური სცენარი, რომელიც საჭირო იქნება იმპორტზე დამოკიდებულების შესამცირებლად და სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად.</p> <p>ალტერნატიულ სცენარებში მოცემულია გეგმის სცენარის 430 მგვტ-იანი მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურის ორი ალტერნატივა. სხვა სახის ცვლილებები დოკუმენტში არ ხდება, შესაბამისად ანალიზისთვის წარმოდგენილი ინფორმაცია საკმარისია სიტუაციური ანალიზისთვის.</p>
---	---



კითხვა-პასუხის ფურცელი

	<p>ეს წინააღმდეგობრივი ჩანაწერები კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ NECP-ში აუცილებელია სათანადოდ განისაზღვროს და გაანალიზდეს ალტერნატიული სცენარები. ამასთან დაკავშირებით, სტრატეგიულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში უნდა გაკეთდეს მკაფიო ჩანაწერი და დოკუმენტი დაბრუნდეს გადასამუშავებლად.</p>	
<p>105.</p>	<p>დეკარბონიზაცია და მასთან დაკავსირებული პრობლემური საკითხები NECP-ის თანახმად, დეკარბონიზაციის მიმართულების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია (მიზანი 1.5) ენერჯის საბოლოო მოხმარებაში, განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილის გაზრდა (სამიზნე 27,4% 2030 წლისთვის). დეკარბონიზაცია, სადაც ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს სუფთა ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობაზე, რაც გულისხმობს ქვანახშირის, გაზის და ნავთობის ჩანაცვლებას საწარმოო პროცესებში, ინდუსტრიების ტექნოლოგიურ გადაიარაღებას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას, ეს საკითხი სათანადოდ განხილულიც კი არ არის ენერგოპოლიტიკისა და NECP-ს სამუშაო ვერსიებშიც.</p>	<p>განახლებადი ენერჯის წილის სამიზნე მაჩვენებლის მისაღწევად გეგმაში მოცემულია ღონისძიებები, რომელიც ითვალისწინებს როგორც განახლებადი ენერჯების პროექტების მშენებლობას, ასევე ენერგოეფექტურობის გაზრდისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებასაც.</p> <p>სისტემის რეგულირებისთვის მოცემულია მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე, რომელიც საჭირო პერიოდებში შეძლებს მოთხოვნაზე რეაგირებას და იმპორტის შემცირებას.</p> <p>განახლებადი ენერჯის სამიზნე მაჩვენებლის მიღწევაში გეგმის მიხედვით აქცენტი ქარის, მზის და ჰიდროენერჯის ათვისებაზე კეთდება. გეგმის მიხედვით განსაზღვრულია, რომ 2030 წლისთვის იმპორტის ჩასანაცვლებლად საჭიროა განახლებადი ენერჯია, კერძოდ: 547 მგვტ მზის, 750 ქარის და დამატებით 667 მგვტ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ადგილობრივი წიაღისეული საწვავის საძიებო სამუშაოები კი ხელს შეუწყობს ენერგეტიკული უსაფრთხოების ამარლებას და საწვავის იმპორტის მოცულობის შემცირებას.</p> <p>გეგმაში ასევე ნახსენებია ისიც, რომ საჭიროა დამატებითი 500 მგვტ სიმძლავრის მქონე მაღალი ეფექტურობის მქონე თბოელექტროსადგურები. ამასთან ეს სადგური ან სადგურები არ იმუშავებენ მუდმივ რეჟიმში და იქნება მხოლოდ სარეზერვო</p>



კითხვა-პასუხის ფურცელი

<p>ევროკავშირის შემთხვევაში, განახლებადი ენერჯიები მართლაც განიხილება ენერგოუსაფრთხოების ამალღების ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებად, თუმცა ძირითადად აქცენტი კეთდება ქარის და მზის ენერჯიებზე, ახალ ტექნოლოგიებზე, რითიც შესაძლებელია წიაღისეული საწვავის ჩანაცვლება იაფი ელექტროენერჯიით, განსაკუთრებით ტრანსპორტსა და ინდუსტრიულ სექტორებში, ემისიების შემცირება ა.შ. ჩვენს შემთხვევაში კი, ამ მიმართულებით შეფასებაც კი არ არის გაკეთებული, როგორ უნდა ჩანაცვლოს მაგალითად, ჰიდროელექტროსადგურებმა იმპორტირებული ენერჯია, როდესაც დეფიციტურ პერიოდებში ჰესების კონტრიბუცია მინიმალურია. უფრო მეტიც, ენერგოპოლიტიკის დოკუმენტებში ბუნებრივი გაზის, ნავთობისა და ქვანახშირის პოტენციური რესურსების ძებნა-ძიებისა და რაციონალური ათვისების მაქსიმალური ხელშეწყობას ითვალისწინებს, რათა ენერჯიაზე მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს იმპორტირებული ენერჯიის ეტაპობრივი ჩანაცვლებით საკუთარი ენერჯეტიკული რესურსებით. NECP არათუ ემისიების შემცირებას, არამედ პირიქით, მის გაზრდას გეგმავს და ერთ-ერთ მიზნად, დამატებით 500 მეგავატი სიმძლავრის თბოელექტროსადგურის მშენებლობა</p>	<p>სიმძლავრე, შესაბამისად ემისიების შემცირების პოლიტიკაზე ეს უარყოფითად არ აისახება.</p>
--	--



კითხვა-პასუხის ფურცელი

<p>განსაზღვრა, რომელმაც სხვა სადგურების მსგავსად, უნდა იმუშაოს იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე. შესაბამისად, ეს აქტივობა ეწინააღმდეგება ენერგოპოლიტიკის გაცხადებულ მიზანს იმპორტირებულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირების თაობაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ემისიების შემცირებაზე. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ კეთდება აქცენტი კიდევ უფრო მეტ წიაღისეულ საწვავის მოხმარებაზე ყოველგვარი ხარ-სარგებლიანობის ანალიზის გარეშე, მაშინ როდესაც არსებობს საფრთხე, რომ ეს ინვესტიციები შესაძლოა გადაიქცეს ე.წ. „Stranded“ აქტივებად. არ არის წარმოდგენილი არც გაზსაცავის სავარაუდო ტექნიკური და ფინანსური პარამეტრები, მათ შორის, ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი და არაა განმარტებული გაზსაცავის ამ დრომდე არ აშენების მიზეზებიც.</p>	
---	--



საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტრო

შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი

შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი



შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი

№	შენიშვნა	კომენტარი
1.	<p>სგშ-ის ანგარიშის თანახმად, (5.3 ალტერნატივების განხილვის შედეგი) სტრატეგიულ დოკუმენტში მოცემულ მონაცემებსა და ინფორმაციაზე დაყრდნობით, NECP-ის ღონისძიებების ერთობლიობა წარმოადგენს უპირატეს ალტერნატივას საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის მიზნების შესასრულებლად, სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და მისი მიღწევის ვადების, მიმდინარე ენერგეტიკული პროექტების, ექსპლუატაციაში შესული ელექტროსადგურებისა და უახლოეს მომავალში ექსპლუატაციაში შესასვლელი ელექტროსადგურების გათვალისწინებით. შესაბამისად, საჭიროა გარდა პოლიტიკის მიზნებისა, მოსაზრება ეყრდნობოდეს გარემოსდაცვითი კუთხით დასაბუთებასაც.</p> <p>ამასთან, წარმოდგენილ უნდა იქნას დასაბუთებული ინფორმაცია, რატომ არ იქნა ცალკე ალტერნატივად განხილული მზის ენერჯის წარმოება ან/და მზის და ქარის ენერჯის წარმოების კომბინირებული ალტერნატივა;</p>	<p>გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით სგშ-ს ანგარიში უნდა მოიცავდეს „განხილული ალტერნატივების დასაბუთებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს“ (მუხლი 26, პუნქტი 2 (ზ)). შესაბამისად, სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მოსაზრება სტრატეგიულ დოკუმენტში მოცემული ალტერნატივების შესახებ, მათ შორის, გარემოს დაცვის კუთხითაც. კერძოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ სტრატეგიულ დოკუმენტში განსაზღვრული ღონისძიებებით ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების მიზნების გარდა, მიიღწევა საქართველოს მიერ პარიზის შეთანხმებით ნაკისრი სათბური აირების ემისიების შემცირების ვალდებულების შესრულება (სათბური აირების ემისიის შემცირება 47%-ით 1990 წლის დონესთან შედარებით 2030 წლისთვის) და 2030 წლისთვის განახლებადი ენერჯის წილის ენერჯის საბოლოო მოხმარებაში 27,4%-მდე ზრდა. ასეთი ჩანაწერი ხაზს უსვამს იმას, რომ NECP მიაღწევს ენერგეტიკასთან დაკავშირებულ მიზნებს ისე, რომ პარალელურად შეესაბამებოდეს საქართველოს მიერ პარიზის შეთანხმებით ნაკისრ (გარემოსდაცვით) ვალდებულებებს.</p> <p>რაც შეეხება მზის ელექტროსადგურების წარმოდგენას ალტერნატივად, პირველ საჯარო განხილვაზეც დაისვა ეს შეკითხვა. აღნიშნულს პასუხი გაეცა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ. მზის ელექტროსადგურს გააჩნია მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები პირველ და მეორე ალტერნატიულ სცენარებთან შედარებით. ესენია არასტაბილური გენერაცია, რომელიც დღე-ღამესთან ერთად დამოკიდებულია სეზონზეც და ამინდზეც. გარდა ამისა იგივე სიმძლავრის მისაღებად საჭიროა, რომ მნიშვნელოვანი ტერიტორია დაიფაროს მზის პანელებით, რაც თავის მხრივ უფრო მეტ ზეგავლენას მოახდენს გარემოზე ვიდრე პირველი ორი ალტერნატივა. აქედან გამომდინარე ალტერნატიული სცენარის განხილვა მზის სადგურების გამოყენებით არ არის გამართლებული. იგივე ეხება მზის და ქარის კომბინირებულ გენერაციასაც, რომელიც ასევე არასტაბილურია, ცვალებადია და ქსელის მდგრადობას ვერ უზრუნველყოფს.</p> <p>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კალკულაციებში ყველა ალტერნატიული კომბინაცია, მათ შორის საუკეთესო ვარიანტები კი წარმოდგენილია დოკუმენტში</p>



შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი

		<p>ალტერნატიულ სცენარებად. დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში მეტი სიცხადისთვის მოხდება ამ განმარტების გაკეთებაც.</p>
<p>2.</p>	<p>სგშ-ის ანგარიშში მითითებულ მონიტორინგის ჩარჩოსთან (ცხრილი 14) დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მონიტორინგს უნდა დაექვემდებაროს დოკუმენტაციაში განხილული გარემოსთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი ზემოქმედებები. რაც არ არის ასახული წარმოდგენილ მონიტორინგის გეგმაში, ასევე საჭიროა დაზუსტდეს მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანოები;</p>	<p>მონიტორინგის ცხრილში მითითებულია რა უნდა დაექვემდებაროს მონიტორინგს, ვინ უნდა ჩაატაროს მონიტორინგი (ვინ არის პასუხისმგებელი), ინდიკატორები და აღწერა. კონკრეტული ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე წარმოდგენილია თვითონ დოკუმენტში. აუცილებელია, რომ მონიტორინგს დაქვემდებარებულ კონკრეტულ საკითხზე პასუხისმგებელმა ორგანომ გამოიყენოს ეს ინფორმაცია, რათა განსაზღვროს კონკრეტული პროექტების განხორციელების მონიტორინგის საჭიროებები და რაც მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოს აღნიშნული ინფორმაცია კონკრეტული პროექტის გზშ-ის განხილვისა და განხორციელების პროცესში.</p>
<p>3.</p>	<p>დოკუმენტში სრულფასოვნად არ არის განხილული ადრეულ სტადიაზე ენერგეტიკული პროექტის დაგეგმვის დეტალები, მაგალითად: ამგვარი დაგეგმვის ერთ-ერთი დამკვიდრებული პრაქტიკა და მექანიზმი, როგორცაა ენერგეტიკული ობიექტების პროექტების ინიცირების პროცესში წინასწარ, ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული შეფასებების გარეშე, მემორანდუმების გაფორმების თაობაზე. აღნიშნული ხშირ შემთხვევაში პირდაპირ კავშირშია გზშ-ის ხარისხთან, რომლის ხარისხის ამაღლება, უმეტეს შემთხვევაში, მემორანდუმით გათვალისწინებული დროის გაზრდას გულისხმობს, სრულფასოვანი კვლევების ჩატარებისათვის საჭირო უფრო მეტი დროის საჭიროების გათვალისწინებით. აღნიშნული ასევე ეხება იმგვარ დაცულ</p>	<p>გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის ჩატარების საჭიროება რეგულირდება საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“. კონკრეტულად რა კვლევები უნდა განხორციელდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის ვლინდება სკოპინგის ეტაპზე. შესაბამისად, დავალების, შეფასებისა და შემდგომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების აქტის გამოცემის პროცესში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მონაწილეობას არ იღებს. აქედან გამომდინარე გზშ-ს და ზზშ-ს ხარისხის შეფასების ასპექტები სცდება ეკონომიკის სამინისტროს კომპეტენციას.</p> <p>რაც შეეხება წინარე ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევას, რომელიც წარედგინება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, აღნიშნული კვლევის მიზანია ხელშეკრულების გაფორმება საქართველოს მთავრობასთან. ხელშეკრულება ფორმდება პროექტი ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლაზე, შემდგომში მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების მიზნით. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიას ეძლევა</p>



შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი

	<p>ტერიტორიებზე ზემოქმედების შეფასებას, როგორცაა ზურმუხტის ქსელი (ე.წ. ზზშ).</p> <p>საჭიროა წარმოდგენილ იქნეს დამატებითი ინფორმაცია, სადაც უფრო დეტალურად იქნება განხილული და შეფასებული მემორანდუმების მომზადებისა და გაფორმების პროცესში წინასწარ დაგეგმვის, მათ შორის გზშ-სა და ზზშ-ს ხარისხის გაზრდის ასპექტები და შემოთავაზებული პრობლემის გადაჭრის გზები.</p>	<p>ექსკლუზიური უფლება წინარე კვლევის არეალზე განახორციელოს ხელშეკრულების შესაბამისი დანართით განსაზღვრული კვლევები. აქედან გამომდინარე, რთულია კომპანიას მოეთხოვოს წინსწრებით განახორციელოს გზშ წინასწარ შეფასებულ საპროექტო არეალზე, რაზეც წინასწარ არ გააჩნია არც ხელშეკრულება და არც უფლება კვლევების განხორციელებაზე. აქვე აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების გაფორმება არ ნიშნავს პროექტის მშენებლობის ნებართვას, არამედ საპროექტო არეალზე შესწავლის ჩატარების უფლებას. იმ შემთხვევაში თუ კვლევები აჩვენებს, რომ პროექტი არის ტექნიკურ-ეკონომიკურად მიზანშეწონილი და ასევე, კომპანია კანონმდებლობის შესაბამისად მოიპოვებს დადებით გარემოს დაცვით გადაწყვეტილებას შესაბამისი კომპეტენტური უწყებიდან, ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე წინადადება წარედგინება საქართველოს მთავრობას, რის შემდგომაც შესაბამისი განკარგულების გამოცემით გადაწყდება პროექტის შემდგომი განვითარების საკითხი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი საკმაოდ აქტიუალურია და სამომავლოდ მოხდება მისი განხილვა.</p>
<p>4.</p>	<p>სგშ-ის ანგარიშში არ არის განხილული საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმაში მითითებული ყველა პროექტი/ობიექტი;</p>	<p>„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, სკოპინგის ეტაპზე განისაზღვრა საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმაში მითითებული ის პროექტები და ობიექტები, რომელთა ზემოქმედება შეიძლება იყოს „მნიშვნელოვანი“ და „ძალიან მნიშვნელოვანი“. შესაბამისად, სგშ-ის ანგარიშში განხილული იქნა მხოლოდ ის ღონისძიებები, რომელთა ზემოქმედება გარემოსა და ჯანმრთელობაზე მიჩნეულ იქნა მნიშვნელოვნად ან ძალიან მნიშვნელოვნად. აღსანიშნავია ისიც, პროექტები, რომლებიც არ მოხვდა სგშ-ის ანგარიშში, მაინც დაექვემდებარებიან გზშ-ის პროცედურას გარემოსდაცვითი კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.</p> <p>ამასთან დოკუმენტი მოიცავს ისეთ პროექტებს, რომლის სტატუსიც განსაზღვრულია როგორც „პოტენციური“ საჭირო ენერგიაზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად თუ სხვა რიგი მიზნებისთვის. ასეთ შემთხვევაში მოცემულია ტექნიკური პარამეტრები რომელიც საჭიროა, თუმცა არ არის განსაზღვრული კონკრეტული პროექტი, სადაც მსგავსი პარამეტრების მქონე</p>



შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი

		<p>ელექტროსადგურის მშენებლობა შეიძლება განხორციელდეს. მაგალითად: NECP - ის სცენარის მიხედვით არის საჭიროება, რომ არსებობდეს 430 მგვტ სიმძლავრის მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგური. ეს პარამეტრი მიღებულია მოდელირების შედეგად და აჩვენებს არა კონკრეტულ პროექტს, არამედ სიმძლავრეს, რომელიც საჭირო იქნება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ასეთი ღონისძიებებია „ენერგეტიკული უსაფრთხოების“ მიმართულებითაც. კერძოდ, ღონისძიებებისთვის ES-2 -დან ES-15 -ის ჩათვლით არ არის წარმოდგენილი კონკრეტული პროექტები, რადგან ისინი ან დაპროექტების ადრეულ ეტაპზე იმყოფებიან, ან მათი ტექნიკური პარამეტრები ჯერ არ არის განსაზღვრული.</p>
5.	<p>სტრატეგიულ გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშსა (გვ. 26, ცხრილი 4) და საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმაში (NECP) ასახული (გვ. 163) ელექტროენერჯის წარმოების სიმძლავრის (მგვტ) პროგნოზის თაობაზე მონაცემების თანახმად, 2030 წლისთვის ჰიდროენერჯის წარმოება არსებული ღონისძიებების გათვალისწინებით პროგნოზირებულია 5139 მეგავატი, ხოლო 2030 წლისთვის სტრატეგიული დოკუმენტით დაგეგმილი ღონისძიებების გათვალისწინებით - 3992 მეგავატი. შესაბამისად, საჭიროა დაზუსტდეს, არსებული ღონისძიებები რა სიმძლავრის და ტიპის ენერგოწყაროებს გულისხმობს;</p>	<p>„არსებული ღონისძიებებით“ (WEM) სცენარი არის ჰიპოთეზური სცენარი, რომელთანაც ხდება NECP სცენარის შედარება. მისი შინაარსი არის შემდეგი - ის აჩვენებს თუ როგორ გაიზრდება ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა, თუ იქნება მხოლოდ არსებული ღონისძიებები (ანუ 2020 წლამდე არსებულები) და არ გატარდება ახალი ღონისძიებები, რომლებიც გაწერილია NECP-ის დოკუმენტში და შედის NECP სცენარში. შესაბამისად, „არსებული ღონისძიებებით“(WEM) სცენარის გენერაციის დადგმული სიმძლავრე არის ჰიპოთეტური, რადგან ის აჩვენებს, თუ რა ჰიდრო სიმძლავრე არის საჭირო (ასევე, თბოსადგურების სიმძლავრე), რომ გაზრდილი მოთხოვნა დააკმაყოფილოთ იმავე გზით რა გზითაც აქამდე ვაკმაყოფილებდით (ჰიდრო და თბო სადგურებით).</p> <p>გამომდინარე იქედან, რომ ეს სცენარი სრულად ჰიპოთეტურია, კონკრეტული სადგურების მითითება საჭირო არ არის. თუ ასეთი სიტუაცია დადგებოდა, ამ სიმძლავრეების მოძიება გახდებოდა საჭირო, ან საჭირო იქნებოდა იმპორტის გაზრდა, რაც ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობაზე უარყოფითად აისახებოდა. ამ ჰიპოტეზური სცენარის გამოყენების მთელი აზრი არის იმაში, რომ ცხადი იყოს, რამდენად უკეთესია NECP სცენარი, პირველ რიგში, ენერგოეფექტურობის ღონისძიებების გამო, რომლებიც ამცირებენ ელექტროენერჯის ზრდას, ხოლო მეორეს მხრივ კი უფრო დივერსიფიცირებული გენერაციის სიმძლავრის გამო.</p>



შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი

		<p>NECP-ის დოკუმენტით ქვეყანა აკეთებს იმის დეკლარირებას, რომ ის განვითარდება NECP სცენარით და არა „არსებული ღონისძიებებით“(WEM) სცენარით.</p>
<p>6.</p>	<p>საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმასა (NECP) და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში მოცემული განახლებადი ენერჯის წყაროების (ობიექტების) ჯამური დადგმული სიმძლავრე 863 მგვტ-ია. დაზუსტებას საჭიროებს, მითითებული ობიექტების გარდა, კიდევ რომელი ობიექტების განხორციელებაა დაგეგმილი 2030 წლამდე სამიზნე 1944 მგვტ სიმძლავრის ექსპლუატაციაში შესაყვანად;</p>	<p>NECP-ის დოკუმენტში არ ხდება კონკრეტული სადგურების მითითება, რადგან გარდა ძალიან მსხვილი პროექტებისა, რომელთა გადაწყვეტაც შეიძლება მოხდეს ეროვნულ დონეზე, წინასწარ უცნობია თუ რომელი სადგურები აშენდება. მაგალითად შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრა თუ რომელი კონკრეტული სადგურები გაიმარჯვებს ელექტროენერჯის წარმოების სიმძლავრის აუქციონში. შესაბამისად, სადგურების სახელების მითითების მაგივრად, NECP-ის დოკუმენტში ეთითება სავარაუდო სიმძლავრე სადგურის ტიპის მიხედვით, ხოლო კონკრეტული სადგურები და კონკრეტული სიმძლავრეები დაზუსტდება განხორციელებისას და აისახება NECP-ის მონიტორინგის დოკუმენტში.</p>
<p>7.</p>	<p>მიზანი 1.5-ის ფარგლებში გათვალისწინებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, გაცნობებთ რომ არ არის მითითებული 2030 წლამდე განსავითარებელი მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების ჩამონათვალი და სივრცითი მონაცემი. ასევე რა ტიპის რეგულირების (წლიური, სეზონური, სადღეღამისო) წყალსაცავიანი ჰიდროსადგურების მშენებლობაა დაგეგმილი და რა თანაფარდობით. რაც საჭიროებს დაზუსტებას;</p>	<p>როგორც ზემოთ აღინიშნა, მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურები, რომელიც ემსახურება ქსელში მოთხოვნაზე რეაგირებას და სიმძლავრის რეგულირებას მოცემულია მოდელირების შედეგად. ეს არის ქსელის რეგულირებისთვის საჭირო რეგულირებადი სიმძლავრეები და არა კონკრეტული პროექტები. შესაბამისად, არ არის განსაზღვრული კონკრეტულად რომელი სადგური უნდა იყოს და აქედან გამომდინარე ვერც მისი სივრცითი კოორდინატები იქნება განსაზღვრული. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერ ჰიდროელექტროსადგური შესაბამისი სიმძლავრით და წარმოებით.</p>
<p>8.</p>	<p>წარმოდგენილ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში ფართოდ არის განხილული შესაძლო გეოლოგიური საფრთხეების ჩასახვა-წარმოშობის რისკები. ასევე მნიშვნელოვანია საშიში ჰიდროლოგიური პროცესების გააქტიურების რისკების დეტალური აღწერა და შეფასება, როგორცაა გაზრდილი სეზონური ტიპის წყალდიდობები, თავსხმა წვიმებით და თოვლისა და</p>	<p>სგმ-ის ანგარიში ეყრდნობა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსისა და სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოპინგის დასკვნის შესაბამისად მოხდა ქვე-თავის დამატება გეოლოგიურ საფრთხეებთან დაკავშირებით. ჰიდროლოგიური პროცესების გააქტიურების რისკების დეტალურ აღწერასა და შეფასებას არ მოიცავდა სკოპინგის დასკვნის ჩამონათვალი, რომელიც განსაზღვრავდა სგმ-ის ანგარიშში გასათვალისწინებელ ინფორმაციას.</p>



შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი

	<p>მცინვარების უეცარი დნობით გამოწვეული წყალმოვარდნები, ზვავები და აგრეთვე ელექტროგადამცემ ხაზებთან მიმართებაში კლიმატური (წყინვები, ქარი) რისკებიც. ამასთან, ღვარცოფული პროცესები (სელური ნაკადები) აღწერილია როგორც მხოლოდ საშიში გეოლოგიური პროცესი, მისი განხილვა აუცილებელია ჰიდრომეტეოროლოგიურ პროცესებთან ერთად და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.</p>	<p>გეოლოგიური, ასევე ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების დეტალური აღწერა და შეფასება უნდა მოხდეს თითოეული პროექტის გზშ-ის ეტაპზე.</p>
<p>9.</p>	<p>საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლი და მიმდებარე სანაპირო ზონა (როგორც წყალქვეშა, ისე ხმელეთის) ბუნებრივი და ანთროპოგენური პროცესების მიმართ, ერთერთი ყველაზე მოწყვლადი გეომორფოლოგიური წარმონაქმნია და სწრაფ-ცვალებადი დინამიკით გამოირჩევა. საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ხაზის ბუნებრივად ჩამოყალიბებული (ჰოლოცენის მეორე ნახევრიდან დღემდე) სუსტი წონასწორობა, თანამედროვე ანთროპოგენური ფაქტორებისა (მდინარეებზე კაშხლების შედეგად ეროზირებული მასალის დახშობისა და ჩაკეტვის, სანაპირო ზოლში ინერტული მასალის მოპოვება-ამოღებისა და სხვ.) და მათგან გამოწვეული მიმდინარე პროცესების შედეგად დარღვეულია და წონასწორობის დისბალანსის ხარისხი მომავალში უფრო გაიზრდება. შავი ზღვის აუზის მდინარეების ჰიდრორესურსების ათვისება ზღვის სანაპირო ზოლზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს. მდინარეთა მყარი ნატანის (როგორც ფსკერული ისე ატივანარებული) დინამიკის შეცვლა ან/და შეწყვეტა, ზღვის სანაპირო მორფოდინამიკურ პროცესებზე უარყოფითად</p>	<p>თავი 4.2.1-ში მითითებულია ჰიდროენერგეტიკის განვითარებასთან დაკავშირებული შესაძლო უარყოფითი ზემოქმედებები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, სადაც ნახსენებია წყლის რეჟიმისა და ნატანის გადაადგილების ცვლილება და სანაპიროს ეროზია.</p> <p>4.2.3.3 თავში (ზემოქმედებების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები) მითითებული ცალკე რეკომენდაცია - ზღვის სანაპიროზე ჰიდროენერგეტიკული ობიექტების მიერ მყარი ნატანის შეკავების შესაძლო ზემოქმედების შეფასება და მათთვის პრევენციისა და შერბილების ღონისძიებების შემუშავება, რაც ხაზს უსვამს საკითხის მნიშვნელობას.</p> <p>გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სანაპირო ზოლზე ზემოქმედებას ახდენს მარეგულირებელი წყალსაცავიანი ჰესები, რომელთა შემთხვევაში გზშ-ს ეტაპზე უნდა მოხდეს დეტალური კვლევა და წყალსაცავის მართვის გეგმაში იქნეს გათვალისწინებული მყარი ნატანის ტრანსპორტირებისა და მისი შავი ზღვის სანაპირო ზოლის მორფოდინამიკაზე შესაძლო გავლენის საკითხები შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით.</p> <p>რაც შეეხება კლიმატის ცვლილების გავლენას შავ ზღვაზე, ამაზე კვლევა ჯერ-ჯერობით არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, დოკუმენტში ეს საკითხი არ აისახა.</p>



შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი

<p>აისახება, რასაც შემდგომში მოჰყვება სანაპირო ზოლის აბრაზიული პროცესების სწრაფი განვითარება და ხმელეთის ნაწილის კარგვა, ამ უკანასკნელის დაცვა რთული და ძვირადღირებული საინჟინრო ნაგებობით არის შესაძლებელი, ხოლო ქვიშა-ხრეშით სანაპირო ზოლის დინამიკის შენარჩუნება დიდ თანხებთან და მაღალი რისკის შემცველ გარემოსდაცვით საკითხებთან არის დაკავშირებული. რისკის ქვეშ ხვდება შავი ზღვის წყლის ხარისხის მდგომარეობაც, რადგან ენერგეტიკული პროექტები წარმოადგენს პოტენციურ დამაბინძურებლებს. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე გლობალური დათბობის პირობებში, მსოფლიო ოკეანის დონის განუხრელი აწევა, სავარაუდოდ ახლო მომავალში შესამჩნევად აისახება შავი ზღვის სანაპირო ხაზზე, რაც კიდევ უფრო უარყოფით ზეგავლენას მოახდენს საქართველოს სანაპირო ზონაში განლაგებულ ინფრასტრუქტურაზე. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის საკმარისი ინფორმაცია მოცემული შავ ზღვასთან დაკავშირებით, ნახსენებია მხოლოდ კანონმდებლობასთან და კონვენციებთან მიმართებაში. წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობისა და წარმოდგენილი ენერგეტიკული პროექტების განხორციელების შემთხვევაში მასზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ, ასევე საჭიროა სანაპირო ზოლში განვითარებული ბუნებრივი და ანთროპოგენური პროცესების შედეგად შექმნილი რისკების იდენტიფიკაცია;</p>	<p>ამასთან, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სგშ-ის ანგარიშის დეტალიზაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სტრატეგიული დოკუმენტის დეტალიზაციის ხარისხსა და შინაარსს. შესაბამისად, სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ანალიზი შემოიფარგლა საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმაში მოცემული ინფორმაციით.</p>
---	---



შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი

10.	<p>დოკუმენტაციაში ყურადღება გამახვილებულია წყალსაცავებში ნეიროტოქსინ მეთილვერცხლისწყლის წარმოქმნის საფრთხეზე. საჭიროა წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე ჩატარებული კვლევების (მათ შორის არსებულ წყალსაცავებზე) შესახებ, მათი შედეგების და სტატისტიკური (ინტოქსიკაციის შემთხვევები) მონაცემების თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინფორმაცია;</p>	<p>წყალსაცავის დაგუბება იწვევს მეთილვერცხლისწყლის დროებით, მაგრამ მნიშვნელოვან ზრდას. ეს პრობლემა შეინიშნება მთელს მსოფლიოში და უკავშირდება დატბორილი ორგანული ნივთიერებების დაშლას, რაც ასტიმულირებს მეთილვერცხლისწყლის (MeHg) წარმოებას.</p>
11.	<p>წარმოდგენილ დოკუმენტში ზოგადად და კერძოდ მეოთხე თავში არ იძებნება სგშ-ს მომზადების პროცესში დამატებით ჩატარებული შესწავლები (კონსულტაციები ადგილობრივ მოსახლეობასა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, განმახორციელებთან, ადგილობრივ არასამთავრობო სექტორთან და ა.შ) კონკრეტული ლოკაციის თავისებურებების გათვალისწინებით და ამ შესწავლების საფუძველზე გაკეთებული უფრო კონკრეტული რეკომენდაციები უარყოფითი ზემოქმედებების მაქსიმალურად შესამცირებლად და დადებითი ზემოქმედებების წასახალისებლად;</p>	<p>საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა არის ძალიან კომპლექსური დოკუმენტი და მოიცავს მთელ საქართველოს. შესაბამისად, სგშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში აღწერილი სახის კონსულტაციების გავლა ყველა დაინტერესებულ მხარესთან ქვეყნის მასშტაბით შეუძლებელი იქნებოდა არსებული დროისა და რესურსის გათვალისწინებით.</p> <p>აქვე აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული დოკუმენტების მომზადების პროცესში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აწარმოებდა აქტიურ კონსულტაციებს ყველა დაინტერესებულ მხარესთან. შესაბამისად, სგშ-ის ანგარიში ეყრდნობა საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმაში წარმოდგენილ ინფორმაციას.</p>
12.	<p>მიზანშეწონილია, სგშ-ის ანგარიშის 4.1.2. თავის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების, ასევე, მუნიციპალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მოწყობა/ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ ნაწილებში განხილულ იქნეს არამხოლოდ აღნიშნული ღონისძიებების</p>	<p>თავში 4.1.2 განხილულია როგორც ახალი არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების, ისე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობით და ოპერირებით გამოწვეული ზემოქმედების საკითხები (მიუხედავად იმისა, რომ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება არ იყო იდენტიფიცირებული როგორც მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რომელიც განხილული უნდა ყოფილიყო სგშ-ს პროცესში). კერძოდ, აღნიშნულ თავში</p>



შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი

<p>განხორციელებით გამოწვეული სათბური აირების შემცირების პოტენციალი, არამედ აღინიშნოს ნაგავსაყრელების და გამწმენდი ნაგებობების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მავნე ნივთიერებების ემისიებით ჰაერზე გამოწვეული ზემოქმედებაც (სულ მცირე, მავნე ნივთიერებათა სახეობების იდენტიფიკაციის მხრივ). ამასთან, ხაზგასასმელია, რომ მეთანის ჩაჭერა და ჩირაღდანზე უტილიზაცია თავის მხრივ დაკავშირებულია სულ მცირე წვის პროდუქტების ატმოსფერულ ჰაერში ემისიებთან;</p>	<p>აღწერილია როგორც მშენებლობის პროცესში მოსალოდნელი მოკლევადიანი ზემოქმედებები, ისე ოპერირებით გამოწვეული ზემოქმედებები. ნაგავსაყრელების შემთხვევაში ნახსენებია აირების წვით გამოწვეული ზემოქმედებაც, თუმცა ეს შეფასებულია როგორც ნაკლებად მნიშვნელოვანი; ხოლო ჩამდინარე წყლების ნაგებობების შემთხვევაში, გამოყოფილია გოგირწყალბადით გამოწვეული ზემოქმედება. აღნიშნული ზემოქმედებები ასახულია ასევე დანართში 'გ' - შემაჯამებელი ცხრილი. აქვე შემოთავაზებულია პრევენციის და ზემოქმედების შემცირების ღონისძიებები.</p>
<p>13. დაზუსტებას საჭიროებს სტრატეგიულ დოკუმენტსა და სგშ-ის ანგარიშში სამგორის სამხრეთ თაღთან გაზსაცავის მოწყობის საკითხი (ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის ღონისძიება ES-11), ვინაიდან, სგშ-ის ანგარიშის თანახმად, „ატმოსფერულ ჰაერზე მიწისქვეშა გაზსაცავის ზემოქმედება დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, როგორცაა მიწისქვეშა წარმონაქმნების სახე, ობიექტის ადგილმდებარეობა და მისი ოპერირების პრაქტიკა“. თუმცა არ არის განმარტებული თუ რა ეტაპზეა ამჟამად ეს ღონისძიება და განიხილება თუ არა მისი მოწყობის ალტერნატიული ადგილმდებარეობა;</p>	<p>სამგორის სამხრეთ თაღის საბადოს ბაზაზე გაზსაცავის თავდაპირველად დაგეგმილი პროექტის განვითარება ამჟამად შეჩერებულია. პროექტის შეჩერების მიზეზი გახდა არსებული პროექტის მოდიფიკაციის აუცილებლობა, რაც დაკავშირებულია ადრეულ ეტაპზე შერჩეული რეზერვუარის გეოლოგიურ სირთულესთან (სავარაუდო მაღალი სეისმურობა, განლაგების სიღრმე და გაზის გაჟონვის აღმოხვრასთან დაკავშირებული სიძნელეები), რამაც განაპირობა პროექტის გაუმართლებლად მაღალი საინვესტიციო ღირებულება. აგრეთვე, ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებით, გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) მიერ პროექტის რეალიზაციისათვის გამოყოფილი სესხიდან 120 მლნ ევროს გახარჯვა მოხდა კოვიდპანდემიასთან ბრძოლის ღონისძიებებზე.</p> <p>აღნიშნულის გათვალისწინებით შემოთავაზებულია გაზსაცავთან დაკავშირებული პუნქტის შემდეგი რედაქცია:</p> <p>„მიმდინარეობს მუშაობა ბუნებრივი გაზის დარეზერვების ეფექტური საშუალების განსაზღვრისათვის. ამ მიზნით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარებით, მუშავდება პროექტი გაზსაცავის არსებული პროექტის მოდერნიზაციის შესაძლებლობის ან თანამედროვე მოთხოვნებზე მორგებული ალტერნატიული დარეზერვების პროექტის რეალიზაციის მიზანშეწონილობის დადგენისათვის.“</p>



შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი

<p>14. სგშ-ს დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციის ზოგადი სახითაა, განსაკუთრებით მესამე („საქართველოში გარემოს მდგომარეობისა და გარემოს დაცვის ზოგადი შეფასება“) და მეოთხე („სტრატეგიული დოკუმენტების განხორციელების შესაძლო ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე და ამ ზემოქმედებების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები“) თავებში, რომელთა შორის ბმა კონკრეტული ლოკაციების დონეზე არაა წარმოდგენილი. მესამე თავში განხილული ზოგადი (კონკრეტულ ღონისძიებასთან და ლოკაციასთან არ მიბმული) ინფორმაცია გარემოს სხვადასხვა ელემენტების მდგომარეობის შესახებ არც მეოთხე თავშია დაკონკრეტებული, რომელშიც უკვე ღონისძიებები და მათი ლოკაციები დაკონკრეტებულია, მხოლოდ რამდენიმე ღონისძიების შემთხვევაშია კორელაცია ზემოქმედების შეფასებასთან და მოსალოდნელი უარყოფითი გავლენა შედარებით კონკრეტულად არის წარმოდგენილი, მაგრამ ეს სტანდარტი არაა შენარჩუნებული ყველა ღონისძიებისათვის, რომელიც განხილულია ძალიან მნიშვნელოვანი და მნიშვნელოვანი გავლენის მქონე კატეგორიებში;</p>	<p>სტრატეგიული დოკუმენტებით გათვალისწინებული პროექტები მთელი საქართველოს მასშტაბით ხორციელდება. შესაბამისად, ტერიტორიის დიდი მასშტაბიდან გამომდინარე, სგშ-ის ანგარიშში შესაძლებელი იყო არსებული გარემოს მხოლოდ ზოგადი აღწერა. რაც შეეხება ზემოქმედების შეფასებას, კონკრეტული პროექტების ზემოქმედების შეფასებისთვის ლოკაციის გარდა აუცილებელია პროექტის შესახებ მეტი დეტალების ცოდნა. სგშ-ის დეტალურობის ხარისხი თავად სტრატეგიული დოკუმენტის დეტალიზაციის შესაბამისია. ხშირ შემთხვევაში, როცა პროექტის შესახებ მეტი ინფორმაცია არ არის ცნობილი, შესაძლებელია მხოლოდ ზოგადი სახის ზემოქმედებებზე საუბარი. ეს ზემოქმედებები დეტალურად უნდა იქნეს განხილული პროექტის დაგეგმვის დონეზე გზშ-ის ფარგლებში.</p>
<p>15. „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის“ მე-4 თავის- „გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება“ თანახმად, „ენერგეტიკულ პროექტებზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში იკვეთება საზოგადოებრივი არასწორი ინფორმირებულობის და ცნობიერების მიკერძოების პრობლემა, რაც გამოწვეულია არასაკმარისი ინფორმირებულობით</p>	<p>ტექნიკური სახის შენიშვნა პოლიტიკის დოკუმენტში, რომელიც გათვალისწინებული იქნება დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში.</p>



შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი

<p>და გავრცელებული მცდარი ინფორმაციით; ენერჯო პროექტების განვითარების დადებით მხარედ საზოგადოება მხოლოდ კერძო ინვესტორის კომერციულ მიზანს მიიჩნევს. ეს გარემოება უარყოფითად აისახება სახელმწიფოს და ინვესტორის ურთიერთობებზე მოსახლეობასთან, აზიანებს საინვესტიციო გარემოს, აფერხებს პროექტების განვითარებას და მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან მეტ ყურადღებას საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად.“ გაცნობებთ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ არეგულირებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურებისას, რა დროსაც უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე. ამასთან, გარემოს მოქმედებათა ეროვნულ პროგრამაში (2022-2026) ასახულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული გზშ და სგშ პროცედურების ფარგლებში, საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესებასა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდასთან დაკავშირებული გამოწვევები და შესაბამისი ამოცანები. ასევე, ენერჯეტიკის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, „ცნობიერების ხარისხის გასაზრდელად, გათვალისწინებულია გზშ/სგშ ეტაპამდე საზოგადოებასთან წინასწარი</p>	
--	--



შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი

<p>საკომუნიკაციო პლატფორმის შექმნა, რათა საზოგადოება მომზადებული დახვდეს ცალკეული პროექტის განვითარებასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევების განხილვის პროცესს. მნიშვნელოვანია, დაინტერესებულმა საზოგადოებამ მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ცალკეული პროექტის მიზანშეწონილობასა და სარგებლიანობასთან დაკავშირებით“; დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული წინასწარი საკომუნიკაციო პლატფორმის საკითხი, პასუხისმგებელი ორგანოს და შემუშავების სავარაუდო პერიოდის მითითებით, დამატებით გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ეფექტიანი ინფორმირებისა და მონაწილეობის მიზნით, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ჩართულობით შეიქმნა გარემოსდაცვითი საინფორმაციო პორტალი (EI.GOV.GE);</p>	
<p>ტექნიკური სახის ხარვეზები ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმასა (NECP) და სგმ-ზე</p>	
<p>16. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული მზის ელექტროსადგურების შესახებ ინფორმაცია სრულად არ ემთხვევა Shp ფაილებში წარმოდგენილ სივრცით მონაცემებს. საჭიროა, წარმოდგენილ იქნეს მზის ელექტროსადგურების შესახებ განახლებული სივრცითი მონაცემები, შესაბამისი ატრიბუტული ცხრილით;</p>	<p>საპასუხო წერილთან ერთად წარმოგიდგენთ მზის ელექტროსადგურის სივრცით ფაილებს.</p>



შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი

17.	გვ: 42 - ტყეებს საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 40% უკავია. საქართველოს ტყის ეროვნული აღრიცხვის განახლებული მონაცემების მიხედვით, ტყეებს ქვეყნის ტერიტორიის 44.5% უკავია (3 100 500 ჰა).	გათვალისწინებულია, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტყის ეროვნული აღრიცხვის განახლებული მონაცემები ხელმისაწვდომი გახდა სგმ-ის ანგარიშის მომზადებისა და ოფიციალურად წარდგენის შემდეგ.
18.	გვ: 43 - ჩანაწერიდან ამოღებული იყოს ტერმინი ტყის რესურსის გამოყენება - ხსენებული ტერმინი არსებითად არ ნიშნავს მის დეგრადაციას. საჭიროა მისი გონივრული გამოყენება და ჩანაწერი უნდა შეიცვალოს ტყის სოციალური მიზნით გამოყენებით.	გათვალისწინებულია
19.	გვ: 46 - საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილია ცხოველთა 135 და მერქნოვან მცენარეთა 56 სახეობაა, მიზანშეწონილია „მერქნოვან მცენარეთა“ ნაცვლად ჩაიწეროს „მცენარე“.	გათვალისწინებულია
20.	გვ: 47 - საქართველოში გავრცელებული 200-ზე მეტი სახეობა მოცულია ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონსერვაციის კონვენციის მუდმივმოქმედი საბჭოს მიერ მიღებულ #6 რეზოლუციაში. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროა დაკორექტირდეს შემდეგნაირად: საქართველოში გავრცელებული 200-ზე მეტი სახეობა მოცულია ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ კონვენციის მუდმივმოქმედი საბჭოს მიერ მიღებულ #6 რეზოლუციაში.	გათვალისწინებულია
21.	გვ:47 - ტყეები, ხე-ტყის არამდგრადი მეთოდებით მოპოვების, პირუტყვის ჭარბი ძოვების და აგრეთვე მართვის არასწორი პრაქტიკის გამო, ძლიერი ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან. პირუტყვის ჭარბი ან	გათვალისწინებულია



შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი

	<p>არაორგანიზებული ძოვების გამო საფრთხის ქვეშაა საქართველოს ზაფხულისა და ზამთრის საძოვრები. აღნიშული ჩანაწერი საჭიროა დაკორექტირდეს შემდეგნაირად: ტყეები, ხე-ტყის არამდგრადი მეთოდებით მოპოვების, პირუტყვის ჭარბი ძოვების, უკანონო ჭრების და აგრეთვე მართვის არასწორი პრაქტიკის გამო, ძლიერი ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან. პირუტყვის ჭარბი ან არამდგრადი ძოვების გამო საფრთხის ქვეშაა საქართველოს ზაფხულისა და ზამთრის საძოვრები.</p>	
<p>22.</p>	<p>გვ:48 - საქართველოს დაცული ტერიტორიების არსებული სისტემის ფარგლებს გარეთ ბიომრავალფეროვნების ბევრი საკვანძო ადგილია (KBA). ესენია: ბიოლოგიური დერეფნები, ცხოველთა მიგრაციის დერეფნები, მცენარეებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიები (IPA), ფრინველებისა და ბიომრავალფეროვნებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიები (IBA), და სხვ. ბიომრავალფეროვნების საკვანძო ადგილები (KBA) გამოვლინდა საქართველოში „კავკასიის ეკორეგიონული კონსერვაციის გეგმის“ შემუშავების პროცესში, რომელიც განხორციელდა WWF-ის კავკასიის პროგრამის ოფისის ხელმძღვანელობით, სულ ეკორეგიონში გამოვლენილია 231 KBA. KBA-ების საერთო ფართობია 130,113 კმ², ეკორეგიონის მთელი ტერიტორიის დაახლოებით 22,2%. საქართველოში წარმოდგენილია 60 KBA, ფართობით 21,335 კმ², აქედან 6,616 კმ² მოქცეულია სხვადასხვა კატეგორიის დაცულ ტერიტორიებში, მათ შორის 5.7%</p>	<p>გათვალისწინებულია</p>



შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი

<p>ნაკრძალებში (IUCN-ის დაცული ტერიტორიების I კატეგორია).</p> <p>აღნიშნული ჩანაწერი მიზანშეწონილია ჩასწორდეს შემდეგნაირად: საქართველოს დაცული ტერიტორიების არსებული სისტემის ფარგლებს გარეთ ბიომრავალფეროვნების ბევრი საკვანძო ადგილია (KBA). ესენია: ეკოლოგიური დერეფნები, ცხოველთა მიგრაციის დერეფნები, მცენარეებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიები (IPA), ფრინველებისა და ბიომრავალფეროვნებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიები (IBA), და სხვ. ბიომრავალფეროვნების საკვანძო ადგილები (KBA) გამოვლინდა საქართველოში „კავკასიის ეკორეგიონული კონსერვაციის გეგმის“ შემუშავების პროცესში, რომელიც განხორციელდა WWF-ის კავკასიის პროგრამის ოფისის ხელმძღვანელობით, სულ ეკორეგიონში გამოვლენილია 231 KBA. KBA-ების საერთო ფართობია 130,113 კმ², ეკორეგიონის მთელი ტერიტორიის დაახლოებით 22,2%. საქართველოში წარმოდგენილია 60 KBA, ფართობით 21,335 კმ², აქედან 6,616 კმ² მოქცეულია სხვადასხვა კატეგორიის დაცულ ტერიტორიებში, მათ შორის 5.7% ნაკრძალებში (IUCN-ის დაცული ტერიტორიების I კატეგორია). ასევე, მიზანშეწონილია აღნიშნულ ჩანაწერს დაემატოს ინფორმაცია ბიომრავალფეროვნების საკვანძო ადგილებიდან (KBA) რამდენი ემთხვევა ზურმუხტის ქსელს და ასევე დაცული ტერიტორიების სხვა კატეგორიებს.</p>	
--	--



შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი

23.	გვ: 50 - საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია 2014, საჭიროა ჩანაწერი ჩასწორდეს შემდეგი სახით: საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია 2013.	გათვალისწინებულია
24.	გვ:56-ზე საჭიროა შესწორდეს ინფორმაცია, საქართველოს ტყის ეროვნული აღრიცხვის მონაცემების შესაბამისად, ტყეებს ქვეყნის ტერიტორიის 44.5% უკავია (3 100 500 ჰა). ხოლო განახლებული მონაცემების მიხედვით საქართველოს ტყეების 98.5% ბუნებრივი წარმოშობისაა.	გათვალისწინებულია
25.	გვ:56 - საქართველოს სათიბები და სამოვრები ბუნებრივი და ნახევრად ბუნებრივი ჰაბიტატებია, რომლებიც საჭიროებენ მდგრად მართვას მათი დეგრადაციის თავიდან ასაცილებლად, განსაკუთრებით დაცულ ლანდშაფტებზე, როგორცაა თუშეთი, არაგვი და თრუსო. საჭიროა ზემოაღნიშნულ ჩანაწერს დაემატოს ტანისა და თეძამის დაცული ლანდშაფტი, რადგან ტანას ხეობაში, განსაკუთრებით ქარელის საზღვართან მდებარეობს სათიბ-სამოვრები, რომელსაც მოსახლეობა აქტიურად იყენებს.	გათვალისწინებულია (კანონის მიხედვით, ტანისა და თეძამის დაცული ლანდშაფტებია)
26.	გვ:86 - ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვა აღნიშნულ ფრაზასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ტყის მდგრადი მართვის დანერგვა მიმდინარე ღონისძიებაა, რომლის გათვალისწინებითაც იგეგმება ტყის მართვის გეგმები. რეკომენდებულია ყურადღება გამახვილდეს აღსრულების გაძლიერებაზე.	მოხდება გათვალისწინება.
27.	გვ- 101 ნახშირბადის ემისიების ზრდაში ტყის ხანძრების მნიშვნელოვანი წვლილს გარდა, ისინი ასევე ტყეების სახეობრივი შემადგენლობის	გათვალისწინებულია



შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი

	ცვლილებას, ეროზიასა და ტყის დაავადებების გავრცელებას იწვევენ. იზანშეწონილია ჩანაწერი ჩასწორდეს შემდეგი სახით: ნახშირბადის ემისიების ზრდაში ტყის ხანძრების მნიშვნელოვანი წვლილს გარდა, ისინი ასევე ტყის არასასურველ სახეობრივ ცვლილებას, ეროზიასა და ტყის დაავადებების გავრცელებას იწვევენ.	
28.	გვ : 101 - ტყის ხანძრების წლიური რაოდენობა 13 წელიწადში (2019 წლამდე) 7-დან 118-მდე გაიზარდა. დოკუმენტში წარმოდგენილი ნახ 30 - ის მიხედვით შეიმჩნევა ტყის ხანძრების წლიური რაოდენობის მატების ტენდენცია, მაგრამ აღნიშნული ჩანაწერიდან იკითხება რომ, საშუალოდ წლიური ხანძრების რაოდენობა 118 გახდა. 118 ხანძრის რაოდენობა კონკრეტული წლის მონაცემია და არ ასახავს წლიური ტყის ხანძრების საშუალო რაოდენობას.	ტექსტი დაკორექტირდა.
29.	გვ : 102 - მიზანშეწონილია ნახ 30-ს დაემატოს 2021-23 წლის მონაცემებიც.	დაემატა 2021-22 წლის მონაცემები.
30. 31.	ელექტროენერჯის ჯამური გენერაციის წყაროების ცხრილში (გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში, გვ.27, ინტეგრირებული გეგმა, გვ.242) გაურკვეველია, ჰიდროენერგეტიკულ სიმძლავრეებში შესულია თუ არა ჰიდრომააკუმულირებელი სადგურები; იმავე ცხრილის მიხედვით მზისა და ქარის ჰიდროსადგურებზე გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობა 2030 წელს მთლიანი ენერგობალანსის 21%, ხოლო 2050 წელს 30%-ს შეადგენს. გაურკვეველია, ჰიდროელექტროსადგურებსა და თბოსადგურებზე დაგეგმილი სიმძლავრეები ითვალისწინებენ თუ არა	დიახ, ცხრილი მოიცავს როგორც მარეგულირებელ, ისე მოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებს. დოკუმენტში გაკეთდება შესაბამისი განმარტება. მოდელირება ითვალისწინებს რეზერვებს საქართველოსთვის ადაპტირებული ევროპული საბალანსო პროდუქტების შესაბამისად, კერძოდ: <ul style="list-style-type: none"> • FCR (Frequency Containment Reserve) - სიხშირის შეკავების რეზერვი, იგი აქტიურდება უბალანსობის წარმოქმნის მომენტიდან 2 წმ-ში. მისი დანიშნულებაა სიხშირის ცვლილების შეჩერება. • aFRR (automatic Frequency Restoration Reserve) - სიხშირის ავტომატური აღდგენის რეზერვი ამოქმედებას იწყებს უბალანსობის წარმოქმნის მომენტიდან 30 წმ-ში, როდესაც FCR სიხშირეს გარკვეულ მნიშვნელობამდე აკავებს მას ნელ-ნელა ანაცვლებს aFRR, რომლის დანიშნულებაა სიხშირის აღდგენა მის ნომინალურ



შენიშვნების გათვალისწინების ფურცელი

<p>ე.წ. „ცხელი რეზერვის“ სიმპლავრეებს, ან როგორ ხდება მათი კომპენსირება;</p>	<p>მნიშვნელობამდე. aFRR-ის მიწოდება შეუძლიათ მხოლოდ იმ გენერატორებს, რომლებსაც გენერაციის ცვლილება ავტომატურად შეუძლიათ (AGC).</p> <ul style="list-style-type: none"> mFRR (manual Frequency Restoration Reserve) - სიხშირის აღდგენის ხელით მართვადი რეზერვი ამოქმედებას იწყებს უბალანსობის წარმოქმნის მომენტიდან 15 წუთში. mFRR-ის დანიშნულებაა დაეხმაროს aFRR-ს სიხშირის ნომინალურ მნიშვნელობამდე აღდგენაში. მისი ამოქმედება ხდება ხელით, ე.ი. დისპეტჩერის ბრძანებით.
